


ექიმთა მუსიკა პროფესია

ISSN 1512-3901 (ბეჭდ.)



ქუთაისის უნივერსიტეტი

UDC 33 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
გ - 491

№ 13, 2013 წელი
ფეხუმენი

რეფერინგი: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) _ www.rim.ionion.ru

n o m e r S i a:

ბიზნესი, ალიგატორი და ფარმაცევტი

მენეჯმენტი და ტერმინი

ეკონომიკური პოლიტიკა

სარედაქციო კოლეგია**მთავარი რედაქტორი:**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის (სემა) ნამდვილი წევრი **რევაზ კაცულია**
პასუხისმგებელი რედაქტორი:
 ე.მ.დ., სემას ნამდვილის წევრი
 პროფესორი **ნიკო ჩიხლაძე**

სარედაქციო კოლეგის წევრები:**იაკობ მესხია**

ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ავთანდილ სილაგაძე
 ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულის აკადემიის აკადემიკოსი
 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,
 პროფესორები:

ვაკენი ბარათაშვილი**რევაზ ბასარია****რევაზ მაშელიძე****ელგუჯა მეგვაბიშვილი****გელევან ხელაია****გიორგი ღავთაძე**

აკადემიური დოქტორები,
 ასოცირებული პროფესორები:

აკაკი ბაკურაძე**ლელა ბახტაძე****ახა გაბელაშვილი****ვაჟა გურაბანიძე****ნაირა ვირსალაძე****გურამ უფლისაშვილი****ხათუნა შალამბერიძე****გოდერძი შანიძე**

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები,
 პროფესორები:

ტიმო ლინკოლა (ფინეთი)**პეტრე მაშეგოვი (რუსეთი)****მილან მიკულასტიკი (ჩეხეთი)****სერგეი ლუკინი (ბელორусი)****მარია ტურიანსკაია (უკრაინა)****დამუშავებელი:**

ქუთაისის უნივერსიტეტი
 რექტორი, პროფ: **ლელა ქალბაძიანი**

4601, საქართველო, ქუთაისი,
 წერეთლის ქუჩა №13

ტელ: 0 431 24 23 73, 25 12 73.

www.unic.edu.ge; info@unic.edu.ge, chixi@mail.ru

დაკაბადონდა და დაბეჭდა
 გხს „მპმ-პრლიგრაფის“ მიერ
 ქ. ქუთაისი, წერეთლის 186
 ტელ.: 0 431 23 45 54;

ჩიზნენი, ალისტვა და ფარეგვრა**1. დალი სილაგაძე**

კოოპერატივები აგრობიზნესში

2. ნაირა ვირსალაძე

მოვლენებს შორის კაგშირის შესწავლის ისტორიული ასპექტები

3. სერგო სვანაძე

სავაჭრო ობიექტების დაბეგვრის შესახებ

4. თინათინ გუგეშაშვილი

კომერციული ბანკების როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში

5. პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ახალი შესაძლებლობები საქართველოში

მენუმენტი და ჭურიზმი**6. ბოგოლოვ ი.ი.**

Концепция построения информационных систем предприятия, как основной фактор управления деятельности экономического субъекта

7. გოდერძი შანიძე

მენეჯერის რამდენიმე აუცილებელი თვისება

8. ბაგდასაროვა დ. გ.,

Инсентив-туризм как средство повышения уровня мотивационного потенциала работников туристических предприятий

9. Chepurda Larysa

Conception of strategic management in service industry

10. Лойко В.В.

Мониторинг уровня экономической безопасности с помощью экспертной системы

11. ნანა ლუბუტაშვილი

შეგვიძლია თუ არა ნინასნარმეტყველება მომავლის

12. ზაურ სერაფოვი

მუშა ჯგუფების ქცევების და ჰოსტელების ექსპერიმენტის შესახებ

13. ევგენი ბარათაშვილი, მანანა მარიდაშვილი,**ირმა მახარაშვილი**

თანამედროვე მენეჯმენტის კრიტერიუმების საკითხისათვის

14. ვაჟა გურაბანიძე

კონფლიქტური სიტუაციების მენეჯმენტი

ეკონომიკური პროცესები**15. ცვირკი დ.ლ.**

Безопасность информационно-коммуникационных ресурсов, как основной фактор успешной реализации антикризисной политики государства

16. ხათუნა თოლეა

უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები

17. ია თეთრუაშვილი

საქართველოში ბიზნესის განვითარების ტენდენციების შეფასების საკითხისათვის

18. კახაბერ გაბელაშვილი

საგარეო ვაჭრობის დასავლური ვექტორი: ანალიზი და პროგნოზები

დალი სილაბამა

ბიზნესის მართვის დოქტორი,
ა.ჭ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

გორგამისათივები აბრობიზნესში

საბაზრო ეკონომიკაზე ქვეყნის გადასვლამ შეაფერხა სოფლად ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მ.შ. ფერმერული მეურნეობების ფორმირება და ფუნქციონირება, ადგილობრივი რესურსების (საწარმო) პოტენციალის უდანაკარგობა და ეფექტური გამოყენება, გაძნელდა მათვის სწორი საწარმოო მიმართულების მიცემა, რაც უზრუნველყოფდა მდგრად განვითარებას.

ამჟამად, საქართველოს წინაშე ბევრი მწვავე, აქტუალური და სტრატეგიულ-პრიორიტეტული პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტამ დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს წარმოების ეკონომიკურ ზრდაზე.

აუცილებელია ძლიერი ეკონომიკური ბაზა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის. უნდა მომზადდეს მეცნიერულ-ეკონომიკური საფუძვლები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ინტეგრირებული და მინი ინტეგრირებული საწარმოების დაფუძნებისა და მათი მაშტაბების თანდათანობით გაფართოების თვალსაზრისით, სასურსათო ბაზრის სწორი ფორმირებისა და განვითარებისათვის.

ამრიგად, ჩვენ მიზნად დავისახეთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან კოოპერატივების შესწავლა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოოპერატივი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებიდან განსხვავდება ერთი მნიშვნელოვანი თვისებით. კოოპერატივი ყოველთვის წარმოადგენს პირების გაერთიანებას და არა კაპიტალის გაერთიანებას, რომლის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა მოთხოვნილების დაქმაფრთვილება. აქედან წარმოიქმნება მისი ფუნქციონირების ორი ძირითადი პრინციპი: ინტერესთა პრიორიტეტი და მმართველობა დემოკრატიის პრინციპით.

სოფლის მეურნეობის სექტორში არჩევენ ორი სახის კოოპერატივს: სასოფლო-სამეურნეო საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივებს. პირველი მიეკუთვნება კომერციულ ორგანიზაციას, მეორე – არაკომერციულ ორგანიზაციას.

საწარმოო კოოპერატივები სოფლის მეურნეობაში წარმოადგენენ წარმოების ისეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რომლებიც შექმნილია მიწის კოლექტიური ან კოლექტიურ-წილობრივი საკუთრების საფუძველზე.

საწარმოო კოოპერატივები საერთოდ და კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხანგრძლივი ისტორიის ორგანიზაციული ფორმაა, დაწყებული მიწის ერთად დამმუშავებელი ამსანაგობებით, დამთავრებული კოლექტიური მეურნეობებით (კოლმეურნებებით).

2010 წლის მდგრადი საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებდა 97 კოოპერატივი.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების, როგორც წარმოების ორგანიზაციულ-სა-

ბიზნესი . ამინისტრაცია ან არა განვითარება

მართლებრივი ფორმის განვითარების შესაძლებლობების და პერსპექტივების ნათელ მაგალითად გამოდგება ისრაელის სოფლის მეურნეობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალინტენსიური დარგია (ჩვენგან განსხვავებით ისრაელს არ აქვს ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები). იგი ეფუძნება სოფლის მეურნეობის გაძლოლის კოოპერატივებისა და ე.წ. კომუნების (კიბუცები) ორგანიზაციულ ფორმებს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების წევრი შეიძლება იყოს მიწისა და ქონების ყველა მფლობელი, რომელიც თავისი წილობრივი შენატანების ნებაყოფლობითი გაერთიანებით გამოიქვამს სურვილს კოლექტიური წარმოების განვითარების შესახებ. ეს წილი შეადგენს კოოპერატივში თავდაპირველ საპაიო შენატანს. შემდგომ ეტაპზე კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შემოსავლების პავლობაზე, თავდაპირველი საპაიო შენატანები თანდაოთანობით იზრდება. გამომდინარე აქედან, საწარმოო კოოპერატივების ქონება შედგება: პირველი – საწყისი საპაიო შენატანებისაგან და მეორე – შემოსავლებიდან, გადარიცხებიდან შექმნილი მზარდი კაპიტალით და განუყოფელი ფონდით.

განუყოფელი ფონდი, ანუ საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კოოპერატივის წევრების ერთობლივ, საერთო საკუთრებას და ნატურით განაწილებას არ ექვემდებარება. თუ კოოპერატივის წევრი თავისი სურვილით გადის კოოპერატივიდან, მას შეიძლება მიეცეს წილი ნატურით ან ფულადი კომპენსაციის სახით. კოოპერატივის ჩამოყალიბება, წესდების და მისი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შექმნა, სამეურნეო აქტების შექმნა, სამეურნეო საქმიანობის წარმართვა, მისი რეგისტრაცია, ურთიერთობა ბიუჯეტთან გადასახადების მიხედვით, რეგისტრაცია და სხვა ურთიერთობა ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე (ამჟამად მიმდინარეობს წესდებაში ცვლილებების შეტანა).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების ჩამოყალიბება ხდება დამფუძნებელთა კრების მიერ, რომელიც ამტკიცებს წესდებას, ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს, ამტკიცებს შენატანებისა და საპაიო კაპიტალის ფორმირების წესს. მას გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი და ყველა ის ატრიბუტი (დერბიანი ბეჭედი, დერბიანი შტამპი და სხვა), რაც აუცილებელია კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებით შექმნილი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის სამართლებრივ ჭრილში.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა რამდენად მოგებიანი იქნება კოოპერატივების შექმნა აგრარულ სექტორში, რა პრობლემები აქვთ არსებულ კოოპერატივებს და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა. ამდენად, შევეხეთ იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში, სოფ. მაღლაკში არსებულ კოოპერატივს „დოვლათი“.

იმერეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს გადამუშავებელი მრეწველობის რეაბილიტაცია, რომელიც ადგილობრივი წარმოების ნედლეულით მაღალი ხარისხის, მსოფლიო სტანდარტებით დაფასოებულ-გაფორმებულ პროდუქციას გამოუშვებს. დარგის საწარმოების პრივატიზაციამ გამოიწვია ძირითადი საქმიანობის პროფილის შეცვლა, ან ფუნქციონირების შეწყვეტა. უკავებს შემთხვევაში მსხვილ საწარმოთა ადგილზე მცირე მოცულობის ფირმები ჩამოყალიბდა და ამან შექმნა ჩვენი სასურსათო ბაზრის იმპორტული პროდუქტებით გაჯერების პირობები.

ამდენად, დღეს არა მარტო აღნიშვნულ რეაბილიტაციაზეა ძალისხმევა საჭირო, არამედ ახლის აშენება-ამოქმედებაზე, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრესული ტექნოლოგიებით, შეძლებენ სოფლის მეურნეობიდან მიწოდებული ნედლეულის რაციონალურად გამოყენებას, პროდუქციის ასორტიმენტის დახვეწას და გაფორმებას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

რაც შეეხება მაღლაკში არსებულ კოოპერატივ „დოვლათს“, იგი გაიხსნა ეკონომიკური განვითარების პროექტის ჩარჩოებში. პროექტს ახორციელებს არაკომერციული ორგანიზაცია PIN-ი (People in Need – „ადამიანი გაჭირვებაში“), ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. კოოპერატივს ყავს თავმჯდომარე და თანაოვამჯდომარე. დაფუძნდა 2010 წელს, სულ ექვსი დამფუძნებელია. რეგისტრირებულია ცამეტი მეპაიე, ათი განცხადებაა შემოსული, რომლებიც ჯერ რეესტრში არაა დარეგისტრირებული. აქვთ ძირითადი შენობა 150 მ², რომელიც PIN-ის დახმარებით და საკუთარი სახსრებით ააშენეს (მათი დაფინანსება 60%, ხოლო დამფუძნებლების 40%, მისცეს 53000 ლარი და 20000 დამატება). შენობა ააგეს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე (1000 მ²), რომელიც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში გადაიყვანეს. იხდიან მიწის გადასახადს. შენობაში 60 მ²-ზე არის 2 სამაცივრე თოახი (30-30 მ²), 2 კამერა მაცივარი ყინულის შესანახად, აქვთ ავტომანქანა რაფი, ასევე დიზელ-გენერატორი.

კოოპერაციული მეურნეობა არ არის ორიენტირებული მოგებაზე, ახდენს მეპაიებისა და სხვა მოსახლეობისაგან მწვანილის მიღებას (ოხრახში, ცერეცო, მწვანე ხახვი), შეფუთვას, შენახვასა და რეალიზაციას. რეალიზაცია ხორციელდება ძირითადად ადგილობრივ დისტრიბუტორებზე და თბილისის ბაზარზე ნდობით აღჭურვილი პირის მიერ (ერთ-ერთი დამფუძნებელი).

გლეხისათვის (ფერმერისათვის) **მოსახერხებელია**, რადგან კოოპერატივი დებულობს ნებისმიერი რაოდენობის ნედლეულს (50 კგ., 100 კგ. და ა.შ.). რა ფასშიც იყიდება ბაზარზე – მას აკლდება ელექტროენერგიის და სამუშაო ძალის ხარჯი და დანარჩენი გლეხს რჩება (სხვები მათ თხოვენ მთლიანად ცერეცოს აღებას მცირე დროში და ამიტომ გლეხი (ფერმერი) ქირაობს 10-15 მუშას, რადგან ოჯახი ვერ ასწრებს აღებას, ეს კი დიდი ხარჯია მისოვის).

კოოპერატივი მუშაობს დეკვიმბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის თვეებში.

კოოპერატივში სცადეს კარალიოკის და ვაშლის შენახვა, მაგრამ დიდი ხარჯები მოითხოვა (ოქტომბრიდან იორვებოდა მაცივრები) და არარენტაბელური გამოდგა.

რომ არ გაცდეს დანარჩენი 7 თვე, პერსპექტივაში აქვთ დაჩირვა (პომიდორი, ნესვი, საზამთრო და მწვანილი) ინფრაწილები სხივებით, მაგრამ ამისათვის მათ სჭირდებათ სახელმწიფოდან იავი კრედიტის აღება.

დამფუძნებლები ძირითადად გლეხებთან მუშაობენ და კარგად იციან მათი პრობლემები. დაუმუშავებელი მიწები, უნდობლობა, კრედიტის ხელმიუწვდომლობა, ტექნიკისა და სასუქების სიძვირე. ჯერ-ჯერობით კოოპერატივსაც ეჭვის თვალით უყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ 50 ლარი შეაქვთ და 80-ს იღებენ. ყველაზე მთავარი მათ არ აქვთ **საკუთარი მწვანილის რეალიზაციის პროცესი**.

რატომაა დაუმუშავებელი ფართობები? 1 ჰა-ზე სიმინდის მოყვანა 1000 ლარი უჯდებათ, თუ კოოპერატივი მიიღებს გრძელებისას კრედიტს, იყიდიან ტრაქტორს და გლეხების მიწას დაამუშავებენ. მათ ითხოვეს სამინისტროში დახმარება, ლიზინგით გამოყვანა, მაგრამ ვერ მიაღწიება.

სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მეშვეობით ფერმერები „შედავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მარტიდან მიიღებენ შედავათიან კრედიტებს.

1. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისათვის; 2. საშუალო და დიდი ფერმერების შედავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა; 3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება.

მცირე ფერმერები მიიღებენ უპროცენტო სასაქონლო კრედიტს (განვადებას) საწარმო

სეზონის დასაწყისში, სეზონის დასრულების შემდეგ გადაიხდიან და კრედიტის გაცემის მომენტისათვის დაფიქსირებულ საცალო ფასს დამატებითი პროცენტის დარიცხვის გარეშე. ამ კატეგორიისთვის სესხის ოდენობა 5000 ლარამდეა გათვალისწინებული.

პროგრამის ფარგლებში მსხვილი და საშუალო ფერმერების ხელშეწყობა განხორციელდება 7-8%-იანი კრედიტებით მათი უზრუნველყოფის გზით. ვისაც 1 წელზე ნაკლები ვადით ესაჭიროებათ 5000 ლარიდან 100.000 ლარამდე თანხა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, ამ ტიპის სესხებს მიიღებენ საშუალო და მსხვილი ფერმერები, რომლებიც არ არიან მცირე ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარები.

დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რაც გულისხმობს მოსავლის ადებას შემდგომი, ნებისმიერი სახის პროდუქციაზე დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის (სასაწყობებელი, დამფასოებელი, სამაცივრე მეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები), ასევე სხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტების (თანამედროვე ფერმერები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), განვითარების ინიციატივების იაფი და გრძელვადიანი ფულადი რესურსით მხარდაჭერას. მიმდინარე წელს დაფინანსდება 60 საწარმო. მეწარმეთაოვის საპროცენტო განაკვეთი ამ ტიპის სესხებზე იქნება დაახლოებით 3%-ია, სესხის ზედა ზღვარი კი მიღიონი ლარი იქნება.

ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სფეროში განსაზღვრულია 700 მილიონამდე ლარის დახარჯვა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგაზაფხულო პროგრამა უკვე დაიწყო. გაიცემა კომბინირებული სასოფლო-სამეურნეო ბარათები. აღნიშნული ვაუჩერი 1 ჰა-ზე 510 ლარის ღირების თანხას ითვალისწინებს. მიწათმესაკუთრებებს ნიადაგის ხვნა, ხნელის დადისკვა/გაფხვიერება და ამავდროულად 300 ლარის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის და ინვენტარის შეძენა შეეძლებათ.

ასევე დარიგდება მეორე ტიპის 100 ლარის ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომელიც 0,25 ჰექტარზე მცირე ზომის მესაკუთრებისთვის არის გათვალისწინებული. ასევე, 1 ჰა-ზე 510 ლარის ღირებულების ბარათს მიიღებენ ის ფერმერები, რომლებიც შესაძლოა არ ფლობენ სახნავ მიწას, თუმცა 0,25 ჰა-დან 1,25 ჰა-მდე ფართობზე აქვთ მრავალწლიანი ნარგაობა, მაგალითად, როგორიცაა ვაზი. 1,25-დან 5 ჰა-მდე სახნავი ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიან ნარგაობას ფერმერები მიიღებენ 640 ლარის ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების საქონლის და ინვენტარის შეძენა მომწოდებლისაგან.

სოფელში ამ პროგრამასაც ჯერ-ჯერობით უნდობლად ეკიდებიან. ხშირად მათ არასწორი ინფორმაცია აქვთ, ან კარგად ვერ ერკევეთ, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათ შესაბამისი ტრენინგებიც უტარდებათ. იციან, რომ შეიქმნება აგროსერვისები. ფიქრობენ, რომ უმჯობესია კოოპერატივს ჩააბარო და ისინი მოემსახურონ არა მარტო მეპაიების, არამედ მოედ სოფელს.

ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ კოოპერატივის შემთხვევაში სრულყოფილი ხდება პროდუქციის რეალიზაცია, რაც გლეხს დღემდე უჭირდა წარმოებასთან ერთად. კოოპერატივის შემთხვევაში დისტრიბუტორიც დაინტერესებულია და გლეხიც. მას ადგილზე მიაკითხავს ტრანსპორტი და წაიღებს პროდუქციას.

თუკი ამუშავდება გადამმუშავებელი წარმოება იმერეთში, როგორც განვითარების გეგმაშია (საკონსერვო ქარხნები, სასათბურე მეურნეობები, რძის გადამამუშავებელი კომბინატები,

ჩაის ფაბრიკები), მაშინ კოოპერატივებიც უნდა შეიქმნას. გლეხი, რომელიც სოფლიდან მოდის ქალაქში 5-7 კბ. ყველის გასაყიდად, კოოპერატივის შემთხვევაში ადგილზე ჩააბარებს და კოოპერატივი 250-300 კბ-ის მოაგროვებს და თვითონ გაუკეთებს რეალიზაციას, ასევე რძეს, ხილს და სხვას და ჩააბარებს გადამამუშავებელ საწარმოებს.

როცა გლეხს კოოპერატივში, ფული დაერიცხება, დაინტერესდება, მოტივაცია გაუზიდება, რომ მეტი პროდუქცია აწარმოოს, თუ 30 ლარს წაიღებს 50 ლარზე საშემოსავლო უნდა დაურიცხო, ეს არის პრობლემა და ეს უნდა მოიხსნას.

ჩვენი კვლევიდან ასევე დადგინდა, რომ განუსაზღვრელია საბანკო-საფინანსო სისტემის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ამ მიმართულებით დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია სოფლისათვის მხარდაჭერა. გლეხური (ფერმერული) მეურნეობებისა და სხვა ფორმების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მხარდაჭერა მქნება მათ სახელმწიფოსგან – განსაკუთრებით სამართლიანი, შედავათიანი, დროული საკრედიტო უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს წარმოებული პროდუქციის შესყიდვა და რეალიზაცია, რისი გარანტიც სოფლად კოოპერატივები უნდა გახდეს, როგორც მოქნილი სიცოცხლისუნარიანი სისტემა.

პრობლემები, რომლებიც გააჩნიათ ფუნქციონირებად კოოპერატივებს (არ აქვთ საქმარისი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ფასების ზრდა, გლეხების უნდობლობა, დაბალპროცენტიანი კრედიტის არ არსებობა, პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა, მაღალი დანახარჯები, ბუნებრივი რისკის საშიშროება, სერთიფიკატის აღების პრობლემა) უნდა შემცირდეს და სოფლად აუცილებლად უნდა განვითარდეს კოოპერატივები, რადგანაც მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ გლეხების ფეხზე წამოდგომაში.

ბამოზენებული ლიტერატურა და ტყაროვები:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა.
2. სოფლის მეურნეობის მინისტრის დ. კირვალიძის გამოსვლა კონფერენციაზე 6.02.13 წ.
3. პინ-ის – PEOPLE IN NEED – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გახსნის ოფიციალური ცერემონია.
4. კოოპერატივ „დოკლათი“-ს მონაცემები.
5. ინტერნეტ-მასალები – ძიება „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები“.

ნაირა ვიზსალაბე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და ა.კ. წერეთლის ახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მოვლენებს შორის პავშირის შესწავლის ისტორიული ასახელებები

ბიზნესის სამსახურის აღმასრულებელი

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული საბაზო ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკურ კვლევებში ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ-სტატისტიკური, მათემატიკურ-სტატისტიკური, ლოგიკური და სხვა სახის მეთოდები. მათი დახმარებით განისაზღვრება ეკონომიკური ჰიპოთეზები, სანდობის ინტერვალები, სტატისტიკური შეფასებანი და მიიღება საონადო გადაწყვეტილებანი. ასეთი მეთოდებია მოვლენებს შორის კავშირის შესწავლის პარალელურ მწკრივთა, საბალანსო, გრაფიკული, ანალიზური დაჯგუფების, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის და ა.შ. მეთოდები. ვინაიდან სტატისტიკა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ მათ მჭიდრო ურთიერთკავშირში, ამიტომ მოვლენებს შორის არასრული (კორელაციური) კავშირის დასახასიათებლად ის იყენებს კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს, რომელიც ხსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირის ფუნქციონალური დამოკიდებულებით და საშუალებას იძლევა განისაზღვროს კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. მოვლენებს შორის არასრული (კორელაციური) კავშირის დროს მიზეზობრივი მოვლენის ცვალებადობა განაპირობებს საშედეგო მოვლენის ცვალებადობას არა ყოველთვის, ყველგან და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ უმთავრესად, უმრავლეს შემთხვევაში და გამოვლინდება მხელოდ დაკვირვების საკმაოდ დიდი რიცხვის პირობებში.

თავდაპირველად, მოვლენებს შორის არასრული (კორელაციური) კავშირი შეისწავლებოდა ცხრილების დახმარებით. კვლევის ამ მეთოდთან ერთად თანდათანობით განვითარდა ამ კავშირის შესწავლის მათემატიკურ-სტატისტიკური მიმართულება, რომელმაც მიგვიყვანა კორელაციის თეორიის შექმნამდე.¹

კორელაციური მეთოდის აღმოჩენა ეპუთვნის ინგლისელ ბიოლოგს ფრენსის გალტონს (1822-1911), რომელიც თავის შრომებში იკვლევდა ბიოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემას - შთამომავლობითობას.

გალტონმა პირველად, 1877 წელს წაკითხულ ლექციაში „ადამიანის შთამომავლობის ტიპიური კანონები”, განიხილა კორელაციური დამოკიდებულების მაჩვენებელი, რომელსაც „უწოდა „რეგრესია”. 1888 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „კორელაცია და მისი გაზომვა ანტროპოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით” იგი შეეცადა დეტალურად აეხსნა კორელაციის არსი და კონკრეტულ მაგალითზე აჩვენა კავშირის სიმჭიდროვის გაზომვის ხერხები.

გალტონის აზრით, ადამიანის სხეულის ორი ცვალებადი ორგანო იმყოფება კორელაციაში, რომ ერთის ცვლილება იწვევს მეორის მეტ-ნაკლებად ცვლილებას საშუალოდ იმავე მი-

¹ Н.А. Дружинин. Развитие основных идей статистической науки. М. 1979, с. 172-173

მართულებით. ამასთანავე, ორი ორგანოს ასეთ ერთდროულ ცვლილებას იწვევდა მათზე მოქმედი საერთო მიზეზები. იგი აღნიშნავდა, რომ შვილების შთამომავლობითობის მახასიათებელი საშუალოდ უახლოვდება მშობლების იმავე მახასიათებლის საშუალოს მნიშვნელობას. მაგრამ ოუ ეს მახასიათებლები გადაიხრება როგორც მშობლების, ისე შვილების მხრიდან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გადახრები გამოიწვეულია ერთი და იგივე მიზეზებით. აღნიშნულ მოვლენას გალტონი უწოდებდა „რეგრესიის კანონს”.

შამომავლობითობის შესწავლის პროცესში გალტონმა ჩაატარა მნიშვნელოვანი დაკვირვებები. კერძოდ, მამებისა და შვილების სიმაღლეთა შორის კავშირის დასადგენად მან გამოიკვლია 200 ოჯახი. კელევამ აჩვენა, რომ მაღალ მამებს თავისთან შედარებით ჰყავდათ დაბალი შვილები, ანუ ხასიათდებოდნენ სიმაღლის რეგრესიით (აქედან წარმოიშვა რეგრესიული ანალიზი), ხოლო დაბალ მამებს ჰყავდათ თავისზე შედარებით მაღალი შვილები. საშუალოდ კი საზოგადოებაში შვილების სიმაღლე უფრო მეტია, ვიდრე მამებისა, რაც გამოწვეულია ცოლების საპირისპირო სიმაღლითა და სხვა ფაქტორებით.

გალტონმა ასევე, 384 მამაკაცის მაგალითზე გაზომა კორელაციური კავშირის სიმჭიდროვე მარცხენა იდაყვის ძვლის სიგრძესა და სიმაღლეს შორის და მიღებული შედეგები მოათავსა ცხრილში. შედეგად აღმოჩნდა, რომ ადამიანის სიმაღლეს და იდაყვის ძვლის სიგრძეს შორის არსებობს კავშირი. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის კოეფიციენტი კი შეადგინა 0,8, რაც მაღალი მაჩვენებელია. ეს კოეფიციენტი ნიშნავს, რომ ადამიანის ზრდა საშუალოდ ერთი დიუმით, იწვევს იდაყვის ძვლის ზრდას 0,25 დიუმით.

ამის შემდეგ გალტონმა ცვლადებს შეუცვალა ადგილები და დაადგინა კორელაციის კოეფიციენტი იდაყვის ძვლის სიგრძესა და ადამიანის სიმაღლეს შორის. კოეფიციენტი აღმოჩნდა იმდენივე, რამდენიც პირველ შემთხვევაში - 0,8. რეგრესია აბსოლუტურ მაჩვენებლებში ტოლია 2,5-ის, რაც ნიშნავს, რომ იდაყვის ძვლის ზრდა საშუალოდ ერთი დიუმით იწვევს სიმაღლის ზრდას საშუალოდ 2,5 დიუმით.

დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ გალტონი იყო ემპირიკოსი. მან არ იცოდა, რომ კორელაციის შესწავლისას გნოსეოლოგიური საფუძველია ალბათური ხასიათის მატარებელი მოვლენები. მას ასევე არ აინტერესებდა პრობლემის მათემატიკურ-სტატისტიკური დასაბუთება, რომელიც მას შემდეგ სხვა მეცნიერებმა გააკეთეს. გალტონმა სრულყოფილად ვერ დაინახა მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ფილოსოფიურ-კორელაციური ბუნება, რომელიც ძალზე როგორია, რომ შეიძლება კიდევ არსებობდეს სხვა მიზეზები, ჩვენთვის უცნობი, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც მიზეზე, ისე შედეგზე, ან მხოლოდ რომელიმე მათგანზე. თუცა, ის იყო პირველი, ვინც წინა პლანზე წამოსწია აღნიშნული პრობლემა და ამით უდავოა მისი დამსახურება როგორც სტატისტიკის, ისე მათემატიკური სტატისტიკის წინაშე.

რუსი მეცნიერი 6. დრუჟინინი ნაშრომში „სტატისტიკის მეცნიერების ძირითადი იდეების განვითარება” აღნიშნავს, რომ გალტონის, როგორც მეცნიერის უდიდესი დამსახურებაა, რომ ის პირველი შეეცადა კორელაციური კავშირის ახსნას.²

მოვლენებს შორის მიზეზობრივ - შედეგობრივი დამოკიდებულების ახსნაში დიდი წვ-

² Н.А. Дружинин. Развитие основных идей статистической науки. М. 1979, с. 175

ლილი მიუძღვის ამერიკელ სტატისტიკოსებს დ. იულს და მ. კენდელს. მათ თავის სახელმძღვანელოში „სტატისტიკის თეორია” მოტანილი აქვთ ფასების ინდექსებს შორის დამოკიდებულების მაგალითი. კერძოდ, ისინი იხილავენ დამოკიდებილებას შვრის ფასების ინდექსსა და კვების პროდუქტების ფასების ინდექსს შორის. მათმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ შვრის ფასების ინდექსის ზრდას ერთი პუნქტით, თან ახლავს შვრის ფასების ინდექსის ზრდა 0.527 პუნქტით. ხოლო კვების პროდუქტების ფასების ინდექსის ზრდას ერთი პუნქტით, თან ახლავს შვრის ფასების ინდექსის ზრდა 0.885 პუნქტით. გაანგარიშების საფუძველზე დ. იული და მ. კენდელი აღნიშნავენ, რომ რეგრესის განტოლებები არ გვეუბნებიან განპირობებულია მიზეზობრივად თუ არა ერთი რაოდენობრივი ნიშნის ვარიაცია მეორე რაოდენობრივი ნიშნის ვარიაციით. ყველაფერი, რაც ჩვენთვის ცნობილია არის ის, რომ ორივენი ვარიოგებენ ერთდროულად და რამდენადაც გვიჩვენებენ რეგრესის განტოლებები, ან კვების პროდუქტების ფასები ახდენენ გავლენას შვრის ფასებზე, ან პირიქით, ან მათი საერთო ვარიაცია შეიძლება იყოს რამე სხვა მიზეზის შედეგი, რომელიც მოქმედებს ორივე ნიშანზე. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმ სიძნელებისა, რომლითაც გაჯერებულია კორელაციისა და რეგრესიის თეორია. აქედან გამომდინარე ამერიკელი სტატისტიკოსი დასძენენ, რომ მკვლევარი-სტატისტიკოსი მიღებული კორელაციის კოეფიციენტების ასენა-განმარტებისას უაღესად ფრთხილი უნდა იყოს.³

მოვლენათა შორის კორელაციური კავშირის საკითხით ასევე დაინტერესებული იყო ინგლისელი მკვლევარი ფ. ჯევორტი (1845-1926). ცნობილია, რომ კორელაციის ისტორიას სათავე დაუდო წყვილადი კორელაციის გაზომვამ და მხოლოდ ამის შემდეგ წამოიჭრა მრავლობითი კორელაციის საკითხი. სწორედ ამ სფეროში აკუთვნებენ პირველობას ფ. ჯევორტს. მან გალტონის მონაცემებზე დაყრდნობით 1892 წელს დაადგინა, რომ მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი მარცხენა იდაყვის ძვლის სიგრძესა და ორ ცვლადს შორის, როგორიცაა ადამიანის სიმაღლე და ფეხის წვივის სიგრძე, შეადგენს 0.415. რა თქმა უნდა, ჯევორტის მეთოდი არ იყო სრულყოფილი, ამიტომ მრავლობითი კორელაციის პრობლემას კარლ პირსონმა უწოდა „ჯევორტის პრობლემა”.

მრავლობითი კორელაციის საკითხებზე მუშაობდნენ დ. იული და კ. პირსონი (1857-1936). პირსონს ეკუთვნის არა მარტო მოვლენებს შორის კორელაციური კავშირის იდეის წინ წამოწევა, არამედ ამ კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის განმსაზღვრელი მაჩვენებლების გაანგარიშების განვითარება.

კორელაციის მათემატიკური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი შეიტანა რუსმა მათემატიკოსმა ა. ჩუბოვმა. როგორც ვიცით, ტრადიციული სტატისტიკური მეცნიერება ეყრდნობა ფილოსოფიურ საწყისებს, ლოგიკურ-ფილოსოფიურ თეორიულ ანალიზს და მას შემდეგ რიცხვით მეთოდს. მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ სტატისტიკაში წარმოშვა დაპირისპირება სტატისტიკოს მათემატიკოსებსა და სტატისტიკოს არამათემატიკოსებს შორის, რაც ყველაზე მკვეთრად გამოჩნდა კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მნიშვნელობის შეფასებისას. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ა. ჩუბოვს გაკეთებული აქვს მეტად საინტერესო ანალიზი. მისი აზრით, სტატისტიკოს მათემატიკოსებსა და სტატისტიკოს არა-

³ დ. იულ, მ. ქენდელ . თეორია სტატისტიკი , მ . ც . 266-267, მეთოდმეტე გამოცემა, პირველი გამოცემა მოხდა 1911 წელს.

მათემატიკოსებს შორის მტრობა სერიოზულად უშლიდა ხელს სტატისტიკის წარმატებას. „ახალი „მათემატიკური” ხერხები მჭიდროდ უკავშირდებიან სტატისტიკის საზოგადოებათმცოდნების გამოგონილ მეთოდებს, წარმოადგენენ მათ ბუნებრივ განვითარებას და დაზუსტებას. იმ იდეების საფუძვლებს, რომლებიც წარმოდგენილია კორელაციის თანამედროვე თეორიაში, ჩვენ ვპოულობთ არამათემატიკური სტატისტიკის წარმომადგენელთა შრომებში”.⁴

ჩუპროვის აზრით, სტატისტიკოსმა არამათემატიკოსებმა მოამზადეს ნიადაგი სტატისტიკოს-მათემატიკოსებისათვის არა მხოლოდ იმით, რომ ძირითადში მონიშნეს მოვლენათა შორის იმ თავისებური კავშირის შემჩნევის რიგი ხერხები, რომელთანაც დაკავშირებულია სტატისტიკური პვლევა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მათი შრომების შედეგად უფრო ცხადი გახდა ამ კავშირების კონტურები, რითაც შეიქმნა მათი შესწავლის ხერხების დამუშავების შესაძლებლობა. თავდაპირველად საკითხი ასე დაისმებოდა: შეინიშნება თუ არა შესასწავლ მოვლენებს შორის კავშირი. ყველაზე დიდი, რასაც კითხულობდნენ, მოვლენებს შორის კავშირი პირდაპირია თუ პირიქით (უკუკავშირი). ამის შემდეგ დაისვა საკითხი მოვლენებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გაზომვაზე. ეს ნიშნავდა პირველ გადამწყვეტ ნაბიჯს მოვლენათა შორის კავშირი სტატისტიკური შესწავლის ხერხების იმ რაციონალიზაციის გზაზე, რომელიც აისახა კორელაციის თანამედროვე „მათემატიკურ” თეორიაში.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს შორის რაოდენობრივი კავშირის შესწავლისათვის ფართოდ გამოიყენება კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდები, რომელმაც საბოლოო სახედ ჩამოყალიბებამდე განვითარების დიდი გზა განვლო.

⁴ А. А. Чупров. Основные проблемы теории корреляции. М. 1928, с. 6

სერბო სვანები

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და
ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

საგამორი ობიექტების დაგებმორის შესახებ

ბიზნესის მიმდევრული და სამუშაოების განვითარების მინისტრი

ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეწარმეობის, მათ შორის საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას. ამისათვის კი აუცილებელია სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. კერძოდ, ისეთი საგადასახადო გარემოს შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს მეწარმეთა ინტერესებს და იმავდროულად გათვალისწინებული და დაცული იქნება სახელმწიფოს ინტერესები

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ერთობლივი შიგა პროდუქტის სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს ვაჭრობის დარგს, რაც თავის მხრივ, დღის წესრიგში აყენებს ამ სფეროში აღრიცხვისა და საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფის პრობლემას, მის მაქსიმალურად გამარტივებას ისე, რომ ყოველი მეწარმისათვის, მიუხედავად მისი კვალიფიკაციის დონისა, გასაგები და მისადები იყოს როგორც აღრიცხვა-ანგარიშგების, ისე საგადასახადო დაბეგვრის სისტემა. მეწარმეთა, მათ შორის სავაჭრო საქმიანობით დაკავებულთა, მხრიდან ხშირად კიდეც გამოითქმის საკანონმდებლო ბაზის დახვეწის, გამარტივების სურვილი.

შემოთავაზებული წინადადებების აზრი მგდომარეობს იმაში, რომ ვაჭრობის სფეროს ობიექტების მოქმედი დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ)-რომლებთაც წარმოეშვა დღგ გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება და მოგების (საშემოსავლო გადასახადი-ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში) გადასახადით დაბეგვრის ნაცვლად შემოღებულ იქნეს ერთი ბეგარა პირობითი სახელწოდებით: ვაჭრობიდან გადასახადი ან შემოსავლიდან გადასახადი, რომლის მიხედვითაც დგინდება გარკვეული პროცენტული განაკვეთი სავაჭრო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე.

დაბეგვრის აღნიშნული მიღგომა მოქმედი კანონმდებლობით გარკვეულწილად რეალიზებულია კიდეც სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით შემოღებული და მოქმედი მცირე ბიზნესის გადასახადით, რომლის დედაბიზრი არის შემოსავლების მირითადში 5 %-იანი განაკვეთით დაბეგვრა ბრუნვის მოცულობის(ოდენობის) გარკვეული დიაპაზონში-30000 ათასი ლარიდან 100000 ათას ლარამდე, მაგრამ სწორედ აღნიშნული საკითხები საჭიროებს ზუსტად განხილვა-დაზუსტებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიზანშეწონილია კონკრეტული პირობითი მაგალითის განხილვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე მდგომი ეკონომიკური სუბიექტების პირობით. დავუშვათ, სავაჭრო ობიექტის მიერ შეძენილი 118 ლარიანი საქონლის, რომელშიც 18 ლარი დღგ-ია, მიწოდების (გასაყიდი) თანხა 20 %-იანი სავაჭრო დანამატის პირობებში დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 141.6 ლარს (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1
სავაჭრო ობიექტის მიერ შეძენილი საქონლის გასაყიდი ფასის ფორმირება

№	შინაარსი	სულ	მათ შორის		შენიშვნა
			საქონლის ძირითადი დირექტორი	დღბ	
1	2	3	4	5	6
1	შესყიდული საქონლის დირექტორები	118	100	18	
2	სავაჭრო ობიექტის დანამატი(პირობითად 20 %)	20	20	-	ერიცხება საქონლის ძირითად დირექტორების დანამატის ჯამს
3	გასაყიდ საქონელზე დასარიცხი დღგ თანხა (18 %)	21.6	-	21.6	ერიცხება შეს'იდული საქონლის ძირითადი დირექტორებისა და სავაჭრო დანამატის ჯამს
4	საქონლის გასა'იდი ფასი	141.6	120	21.6	

აღნიშნული ოპერაციის შედეგად ბიუჯეტის კუთვნილი დღგ შეადგენს 3.6 ლარს (21.6-18),თუმცა მოქმედი წესით ეს თანხა შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს სავაჭრო ობიექტების მიერ მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხით (მოხმარებულ ელექტრიფიციაზე, წყალზე, ტვირთის ტრანსპორტირებაზე და ა.შ. გადახდილი დღგ), რომელზეც უფლება აქვს მიღოლოს ჩათვლა სავაჭრო ობიექტება.

აღნიშნულის მიხედვით მოგების ფორმირებაში მონაწილეობას იღებს 20 ლარი (ამონაგებ 141.6 ლარს აკლდება დღგ 21.6 ლარი და აკლდება რეალიზებული საქონლის შეს'იდვის ძირითადი დირექტორები 100 ლარი). საშუალოდ თუ ავიდებო გაწეულ ხარჯებს, რომ მან შეადგინა სავაჭრო დანამატის (20 ლარი) 25 %-5 ლარი, მაშინ მოგება დარჩება 15 ლარი და მოგებიდან გადასახადი შეადგენს 2.3 ლარს. მაგრამ აქაც ფაქტორივი ხარჯი ყოველთვის მეტი იქნება 25%-ზე, სავარაუდოდ 50-70%, რაც შეამცირებს მოგებას და შესაბამისად, ბიუჯეტის კუთვნილი მოგებიდან გადასახადს.

ამდენად, სულ ბიუჯეტში მისაღები გადასახადის თანხის მაქსიმუმი სავარაუდოდ 5.9 ლარია (3.6+2.3).

ამ წესით ადრიცხავა-დაბეგვრისას დამახასიათებელი ნიშანია ბუღალტრული ადრიცხვის შედარებითი სირთულე (დღგ-ს გამოყოფის, მისი ცალკე ადრიცხვის, საქონლის სავაჭრო დარიცხვის მექანიზმი და ა.შ.), კონტროლის სიმებულე, გადასახადებისა და მათი გაანგარიშების სიმრავლე-სირთულე და ა.შ. მხედველობაშია მისაღები გადამხდელთა კონტიგენტი და მათი კვალიფიკაციის დონე (არიან როგორც იურიდიული პირები, ისე ფიზიკური პირები, ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ ბუღალტრული ადრიცხავა-ანგარიშების მეორედოლოგიას).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, მიზანშეწონილია განხილულ იქნას დაბეგვრის მექანიზ-

მის ცვლილების-სრულყოფის შესახებ საკითხი. კერძოდ, შეძენილ 118 ლარიან საქონელზე (დღგის ჩათვლით) 20% სავაჭრო დანამატის (23.6 ლარი) შედეგად მისი გასაყიდი ფასიდან, რაც 141.6 ლარია, ცალ-ცალკე გადასახადების გაანგარიშებისა და ამოდების ნაცვლად, მიზანშეწონილია ამონაგები ნავაჭრი თანხის საშუალო შეწონილი კოეფიციენტი (5%) დაბეგვრარის შედეგადაც ბიუჯეტში ამოსადები გადასახადის თანხა **7.0** ლარს შეადგენს.

ვაჭრობიდან (შემოსავლზე) გადასახადის გაანგარიშება წარმოდგენილია წინამდებარე ცხრილში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2.

ვაჭრობიდან (შემოსავლიდან) გადასახადის გაანგარიშება

№	შინაარსი	სულ	მათ შერის		შენიშვნა
			საქონლის ძირი-თადი დირ-ება	დღგ	
1	2	3	4	5	6
1	შეს'იდული საქონლის დირებულება	118	100	18	
2	დარიცხული სავაჭრო დანამატი (პირობითად 20 %)	23.6	-	-	ერიცხება შეს'იდული საქონლის მთლიან (დღგ-ს ჩათვლით) დირებულებას
3	საქონლის გასა'იდი ფასი	141.6	-	-	

ვაჭრობიდან გადასახადი	გადასახადის განაკვეთი %	თანხა
20 %-მდე სავაჭრო დანამატის დროს	5	7.0

ამდენად, არათუ მცირდება დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ანალოგიურ პირობებში მოზიდული ბეგარის(გადასახადების) მოცულობა (**5.9 ლარი**), არამედ პირიქით იზრდება (**7.0 ლარი**), რაც იძლევა დასაბეგრი განაკვეთის დივერსიფიცირების საშუალებას.

მიწოდებიდან მიღებული (ნავაჭრი) თანხის დასაბეგრი განაკვეთი შემოთავაზებული წესით დაბეგრისას მერყეობს 3%-დან 25%-მდე, გამომდინარე თბიექტების საშუალო სავაჭრო დანამატის ოდენობიდან(იხ. ცხრ. 4).

აღნიშნული სისტემა გააფართოვებს აღრიცხვაში მოქცეული საქონელბრუნვის მოცულობას, რის შედეგადაც გაიზრდება სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადის ოდენობა. იმავდროულად, ეს მისადებია მეწარმეებისათვისაც, ვინაიდან გარკვეულად მარტივდება აღრიცხვა და თან მეწარმეებისათვის ცნობილია მათ მიერ გადასახადი თანხა, ასე ვთქვათ, ფიქსირებულია ყოველი 100 ლარი შემოსული, ნავაჭრი თანხიდან გადასახადის თანხა, რომელიც შედარებით იოლად გამოსათვლელია (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3.
გადასახადის გამოანგარიშების წესი (ათ. ლარი)

№	შინაარსი	ვარიანტი		შენიშვნა
		I	II	
1	2	3	4	5
1	თვის დასაწყისში სავაჭრო ობიექტში არსებული საქონლის ღირებულება	100.0	-	ფიქსირდება თვის დასაწყისში ინვენტარიზაციით
2	თვის განმავლობაში მიღებული საქონლის ღირებულება	100.0	120.0	ტარდება „საქონლის მიღების აღრიცხვის ურნალში“
3	საქონლის ნაშთი თვის ბოლოს	150.0	-	დგინდება თვის ბოლოს ანუ მომდევნო თვის 1 რიცხვის მდგომარეობით
4	თვის განმავლობაში რეალიზებული საქონლის ღირებულება (სტ. 1+სტ. 2-სტ. 3)	50.0	120.0	
5	თვის განმავლობაში ნავაჭრო თანხა	60.0	144.0	გამოითვლება, ფიქსირდება საკასო აპარატისა და გახარჯული „გა'იდვის ჩეკების“ ჩვენების მიხედვით.
6	საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი (სტრ.5-სტრ. 4) : სტრ.4 100%	20	20	

7. გაჭრობიდან გადასახადი

საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %	გადასახადის თანხა (სტრ. 5 სტრ. 7-ის ს. 2-ზე)
20 %-მდე	5	7.1

საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი ავტომატურად არეგულირებს სავაჭრო ობიექტის მიერ სხვადასხვა დასახელების საქონელზე სხვადასხვა ოდენობის სავაჭრო დანამატის დარიცხვას და ყოველი მათგანის წილს რეალიზებული საქონლის მოლიან მოცულობაში.

იმავდოთულად, აღნიშნულ სისტემაში ჩადებულია სავაჭრო ობიექტებში საქონლის და საქონელბრუნვის აღრიცხვის კონტროლის (მათ შორის, როგორია სავაჭრო დანამატის ზოგადი ოდენობა, მისი ცვლილების ტენდენცია და აქედან გამომდინარე, ცალკეული გადამხდელის მაჩვენებლები რამდენად ჯდება საერთო ზოგად კონტექსტში), სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვაში სრულად ასახვის მექანიზმი.

ამ მეთოდით კონტროლის ექვემდებარება და მიიღწევა:

1. სავაჭრო ობიექტების მიერ შეძენილი საქონლის სრულად აღება შემოსავალში. აღურიცხავი საქონლის დაფიქსირებისას ტარდება კანონით გათვალისწინებული ფინანსური და აღმინისტრაციული სანქციები; შეძენილი საქონელი ტარდება საგადასახადო ინსპექციაში

რეგისტრირებული „საქონლის შეძენის აღრიცხვის“ ჟურნალში, ხოლო ბუღალტრულ აღრიცხვაში (იურიდიულ პირებში), იმავდროულად სრული დირექტულებით (დღგ-ის ჩათვლით) აიღება შესაბამის ანგარიშზე;

1. ნავაჭრი თანხის სრულად აღრიცხვა სალარო-საკასო აპარატებისა და ე.წ. საქონლის „გა'იდვის ჩეკების“ მეშვეობით. სალარო აპარატი თავისთავად დალუქტულია საგადასახადო ინსპექციის მიერ, ხოლო საქონლის „გაყიდვის ჩეკები“ არის ნომრიანი ქვითარი (მიზანშეწონილია დღგ-ის ანგარიშფაქტურების მსგავსად მკაცრი აღრიცხვის), რომელიც მოთხოვნის საფუძველზე საგადასახადო ინსპექციის მიერ დაეწერება სავაჭრო ობიექტს და შემდეგ მოწმდება ხარჯვა. სავაჭრო ობიექტი ძირითადად მუშაობს საკასო-სალარო აპარატით, ხოლო რაიმე ობიექტური მიზეზების შემთხვევაში (ელექტროგიის გამორთვა, აპარატის გაფუჭება) ანუ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში დროებით ე.წ. საქონლის „გაყიდვის ჩეკებით“, რომლის ყვა აღგილზე რჩება და მისი ხარჯვა ადგილად კონტროლებადია. აღსანიშნავია, რომ „გაყიდვის ჩეკები“-ით ისპობა ის ვაკუუმი, რომელიც ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო სალარო აპარატების უმუშევრობის პირობებში წარმოიშობა და ამავე დროს არ ავალდებულებს და შესაბამისად ათავისუფლებს მეწარმე სუბიექტებს დამატებითი, ე.წ. საოთადარიგო, სალარო აპარატის შეძენისაგან, რაც შესაბამისად გარკვეული ფინანსური დანახარჯების დაზოგვასთანაც არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში ამასთან, ის სტიმულირებას გაუსაკუთრებს მეწარმის მოტივაციას, რაც შეიძლება მოკლე დროში აღადგინოს საკასო-სალარო აპარატი.

აღნიშნული მეთოდით მარტივდება სავაჭრო ობიექტებში ბუღალტრული აღრიცხვა (როგორც ასეთი, ის აღარ არის პირდაპირ გადამხდელი დღგ-ის, თუმცა ბიუჯეტში დღგ არაპირდაპირი ფორმით მაინც ამოდის), მცირე სავაჭრო ობიექტებში „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამისად საკმარისია აღრიცხვის გამარტივებული ფორმა (საქონლის მიღება ფიქსირდება, „საქონლის შემოსავლის აღრიცხვის ჟურნალში“, ხოლო ნავაჭრი თანხა, ამონაგები - სალარო-საკასო აპარატით.

იმავდროულად დაწესებული მოთხოვნების შეუსრულებლობისა და უგულებელყოფის შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციები, რომლებიც მიუღებელს გახდის სავაჭრო ობიექტებში აღურიცხავი საქონლის ბრუნვას. მთავარია სისტემატური კონტროლი, რომ გაყიდულ საქონელზე გამოიწეროს სალარო-საკასო აპარატის ქვითრის გარეშე საქონლის მიწოდების, რეალიზაციის ფაქტის დაფიქსირების, მისი გამოვლენის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, მაგრამ აქ მთავარია, რომ თვის განმავლობაში ასეთი ფაქტის ერთხელაც დაფიქსირება, ფინანსური და ადმინისტრაციული სანქციებიდან გამომდინარე მიუღებელი იყოს მეწარმისათვის.

აღნიშნული მეთოდი გამოიწევს სავაჭრო ობიექტებში აღურიცხავი საქონელბრუნვის შეკვეცას, რაც იმავდროულად გაზრდის წარმოების სფეროს მიერ წარმოებული და მიწოდებული პროდუქციის აღრიცხვაში მიმოქცევის მოცულობას.

მიგვაჩნია, რომ გადასახედია სავაჭრო ობიექტების გადასახადებით დაბეგვრის მოცულობა. ის არ უნდა იყოს მიზანშეწონილზე მეტი, რადგან ასეთ შემთხვევაში აღგილი აქვს ვაჭრობის სფეროს შეკვეცას და აღურიცხავი საქონლის ბრუნვის ზრდას. ამდენად, თუ არ იქნა შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტი და სტიმული, მხოლოდ კონტროლის სისტემა და ადმინისტრირება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს, დღვენდელ პირობებში საშიშროება იმისა, რომ ბეგარის განაკვეთის შემცირება მისაღები თანხების მოცულობის კლებას გამოიწვევს, არ არის სწორი,

ვინაიდან კლება გადაფარული იქნება აღრიცხვა-ანგარიშგებაში მოქცეული საქონელბრუნვის მოცულობის ზრდის ხარჯზე, ხოლო მეწარმის ფულადი და მატერიალური სახსრების ზრდა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების წინაპირობაა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაბეგვრის განაკვეთის ორ ვარიანტად წარმოდგენა სავაჭრო დანამატის საშუალო შეწონილ ოდენობასთან მიმართებაში.

ცხრილი 4.

გადასახადების განაკვეთების დიფერენციაცია

1		2	
საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %	საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატი	გადასახადის განაკვეთი %
1	2	3	4
20 %-მდე	5	10 %-მდე	3
20%-დან 30 %-მდე	6	10%-დან 20 %-მდე	4
30%-დან 40 %-მდე	7	20%-დან 30 %-მდე	5
40%-დან 50 %-მდე	8	30%-დან 50 %-მდე	7
50%-დან 60 %-მდე	9	50%-დან 70 %-მდე	10
60%-დან 70 %-მდე	10	70%-დან 100 %-მდე	15
70%-დან 80 %-მდე	11	1000%-დან 150 %-მდე	20
80%-დან 90 %-მდე	12	100 %-ის ზევით	25
90%-დან 100 %-მდე	13		
100 %-ის ზევით	15		
და ა. შ.			

პირველი ვარიანტის მიხედვით საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატთან მიმართებაში დადგენილი გადასახადის განაკვეთებით ბიუჯეტში მიმართული თანხა უახლოვდება მოქმედი დაბეგვრის სისტემით ბიუჯეტში სავაჭრო ობიექტებიდან დღგ-ის, მოგების (საშემოსავლო) გადასახადის მეშვეობით მისაღებ თანხებს, მაგრამ შესაძლებელია მათი გამსხვილებაც (საშუალო შეწონილი სავაჭრო დანამატის) და გადასახადის განაკვეთების კორექტირება ისე, რომ გარკვეული სტიმული ჩაიდოს. ამდენად, მეორე ვარიანტი უფრო მიზანშეწონილია.

შემოთავაზებული მეთოდით ბიუჯეტობა ანგარიშწორება ხდება ჩვეულებრივად ყოველთვიურად, რითაც მატულობს და ჩქარდება მოზიდული თანხების ოდენობა და ბრუნვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სავაჭრო ობიექტებიდან ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ნაწილი ნადირი ანგარიშწორებით შემოდის.

ბიუჯეტში მობილიზებული თანხების განაწილება მოქმედ გადასახადებს (თუ საჭიროება

შეიქმნება-ცენტრალურ და ტერიტორიულ ბიუჯეტებისთვისაც შორის) მოხდება ხაზინის მეშვეობით. გაყოფის (თუ რომელ გადასახადს რა წილი უჭირავს) პროცენტული განაკვეთის გამოთვლა არ წარმოადგენს სირთულეს. მაგალითად, დღგ-ის წილი ამ ფორმით მობილი-ზებული თანხის მოლიან მოცულობაში 60-65 %-ის ფარგლებშია.

ამასთან, გადასახედია ის აბსურდული სიტუაცია, რომელიც შეიქმნა თავის დროზე მიკრო ბიზნესის დაბეგვრის რეჟიმის შემოდებით, როცა საერთოდ განთავისუფლდა გადასახადისაგან ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა ცალკეული კონტიგენტი. ამას არა მარტო ფისკალური, არამედ სოციალ-ფსიქოლოგიური მომენტიც ახლავს-უმჯობესია არა საერთოდ გავანთავისუფლოდ, არამედ გადავახდევინოთ სავარაუდო შემოსავლის ოდენობის გათვალისწინებით და დავიცვათ დაბეგვრის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – ამდენად, გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველამ ვისაც გარკვეული შემოსავალი აქვს, საჭმაოდ მცირე ოდენობით, მაგრამ მაინც, რომ ჩამოუყალიბდეს და გაუჩნდეს შეგრძნება, რომ ისიც დებულობს მოკრძალებულ წელილს სახელმწიფო კონსოლიდირებული შემოსავლების ფორმირებაში. მითუმეტეს არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა მიკრო ბიზნესის მქონე პირს უფრო მეტი შემოსავალი აქვს, მათ შორის, საარსებო მინიმუმს ზევით და ის საერთოდ განთავისუფლებულია, ხოლო პირობითად საბიუჯეტო ან სხვა სფეროს მუშაკის, სადაც ვერ და არ ხერხდება აღურიცხაობა ან უფრო მნელია, მას გბეგრავო, თუგინდ საარსებო მინიმუმს ქვევით იყოს მისი შემოსავალი (ამ კატეგორიაზე გადახდილი თანხების კომპენსაციის, უკან ანაზღაურების ამჟამად შემოდებული მეთოდი რამდენად ეფექტური იქნება, ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს).

უნდა აღინიშნოს, რომ შემოთავაზებული დაბეგვრის წესი ითვალისწინებს საქონლის მოძრაობის სრული ციკლის დაბეგვრას დღგ-ით, ვინაიდან წარმოებისა და ბრუნვის ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე იქმნება დამატებული დირებულება, მათ შორის როცა ბრუნვა 100000 ლარზე ნაკლებია. მოქმედი სისტემით გამოდის, რომ მას არ გბეგრავო დღგ-ით. რატომ-ადმინისტრირებად მნელი? მაშინ ისევ დაბეგვრის ფუნდამენტური მოთხოვნის (სამართლიანობისა და თანაბრობის) ნაწილობრივ უგულვებელყოფა ხდება. აღნიშნული ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და დამატებითი განხილვის და მსჯელობის საგანია.

თინათინ გუბეშაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

პომერციული ბანკების როლი მცირე და საშუალო პიზნების განვითარებაში

მცირე მეწარმეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე ეკონომიკა წარმოუდგენელია კარგად განვითარებული მცირე საწარმოო სექტორის გარეშე, ვინაიდან იგი ეკონომიკას უფრო მოქნილ და მანევრი-რებად ხასიათს აძლევს, და უზრუნველყოფს, მოსახლეობის საწარმოო და ფინანსური რესურსების მობილიზაციას, მინიმალური დანახარჯებით ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადამიანის მეწარმეობრივი უნარის ამოქმედებას და უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარებას; იგი ხელს უწყობს დასაქმების პრობლემის გადაჭრას და შესაბამისად ქვეყნის სოციალური ფონის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში ავითარებს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში დემოკრატიულ საწყისებს.

გაერთს 2008 წლის გამოკვლევებით მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიანად დასაქმებულთა ნახევარზე მეტი. ეს პრაქტიკული მონაცემი ყველაზე ნათლად მიუთითებს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობაზე. თუმცა, მცირე საწარმოო სუბიექტების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ფინანსური რესურსების სიმცირე, რომელიც მას ფუნქციონირების პროცესში ესაჭიროება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად, როგორიცაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ან ახალი ძირითადი საშუალების შექმნა, მუდმივი და სტაბილური სასაქონლო მარაგების შექმნა, მიმდინარე ხარჯების დაფარვა და სხვა.

აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა განაპირობებს ზოგადად, საწარმოო სუბიექტის წარმატებას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სტაბილურ, მზარდ მოთხოვნას საწარმოს მიერ წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე. სწორედ ფინანსური რესურსების სიმცირე განაპირობებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ნაკლებკონკურენტუნარიანობას, რის გამოც განსაკუთრებით მაღალია ამ ტიპის საწარმოო სუბიექტებში გაკოტრების მაჩვენებელი (გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მცირე და საშუალო საწარმოების საშაულოდ 40% კოტრდება ფუნქციონირების დაწყებიდან 2 წელიწადში). მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ამ როლი და მეტად წინააღმდეგობრივ პროცესში იკვეთება საწარმოს მიერ მოზიდული ფინანსური სახსრების, მათ შორის განსაკუთრებით – კრედიტის როლი. კრედიტი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა წრებრუნვასთან და მისი განხორციელების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს. წრებრუნვის პროცესში სახსრები პერიოდულად დებულობს ფულად ფორმას და ამის გამო, საწარმოთა სახსრების გარკვეული ნაწილი მუდმივად ფულად ფორმაშია. საწარმოთა ფულადი სახსრების მოცულობა მერყეობს სახსრების შემოსავლისა და მათი ამა თუ

ბიზნესის აუდიტის სამსახური

იმ საჭიროებისათვის ხარჯვის ვადების მიხედვით.

სახსრების შემოსავლისა და ხარჯვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ წრებრუნვის პროცესში საწარმოებს აუცილებლად წარმოეშვება დროებითი საჭიროება დამატებით ფულად სახსრებზე, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად. კრედიტის საჭიროება მცირე და საშუალო საწარმოებში უფრო იგრძნობა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შედარებით მსხვილ საწარმოო სუბიექტებს დამატებით ფულადი სახსრების მოძიების სხვა აღტერნატიული გზებიც გააჩნიათ (მაგალითად, აქციების ან ობლიგაციების გაყიდვა), ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური რესურსის მოზიდვის ერთ-ერთი თუ არა ერთადერთი წყარო კრედიტია.

კრედიტის მნიშვნელობასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების, როგორც ძირითადი საკრედიტო რესურსის მქონე ეკონომიკური სუბიექტის როლი და მნიშვნელობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მართალია კრედიტის გამცემი სხვა სუბიექტებიც არსებობს (მაგალითად, მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციები), მაგრამ მათი წილი ეკონომიკის მოლიან დაკრედიტებაში ძალიან მცირეა. კომერციული ბანკები საბაზო ეკონომიკის ცენტრალურ როლს წარმოადგენს, საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, რაც გულისხმობს, რომ კომერციულმა ბანკმასრულად შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება, საერთო ეკონომიკური მდგრმარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია და პირიქით, რაც ფინანსური კრიზისების წარსულის გამოცდილებამ და მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე რიზისულმა პროცესებმა ნათლად დაადასტურა.

საბაზო ეკონომიკის პირობებში მთავარ პრობლემად რჩება გაონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება. საფინანსო და რეალური სექტორი ერთმანეთისგან ფაქტორივად მოწყვეტილია და თითოეული მათგანი საკუთარ რეჟიმში ფუნქციონირებს ფულის ნაკადები უმთავრესად, მიედინება არა რეალურ სექტორში, არამედ ფინანსურ სექტორში და სშირ შემთხვევაში, სპეციულაციურ ოპერაციებს უწევს მომსახურებას. რეალური სექტორი კი განიცდის “ფულისშიმშილს”. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რეალური სექტორის დაკრედიტება დაკავშირებულია დიდ რისკთან, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის რეალური სექტორის, კერძოდ კი მეწარმეობის დაკრედიტების მასშტაბების სიმცირესთან, რასაც ერთი მხრივ, ფინანსური რესურსების სიმცირე, ხოლო მეორე მხრივ, ამ სექტორში არსებული არასახარბიელი მდგრმარეობა განაპირობებს. კერძოდ, მცირე საწარმოების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია, მოძველებულია, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ აწარმოონ კონკურენტუნარიანი საქონელი თუ მომსახურება, რაც ნაკლებად მიმზიდველს ხდის კომერციული ბანკების მხრიდან მათ დაკრედიტებას. ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ კომერციული ბანკები ჯერ კიდევ ერიდებიან მცირე და საშუალო ბიზნესის გრძელვადიან დაკრედიტებას, რაც გამოწვეულია 4 ძირითადი მიზეზით:

- ფინანსური რისკი – არარენტაბელურ საწარმოში დიდია სესხის გადახდისუუნარობით გამოწვეული რისკი;
- მოკლევადიანი დაკრედიტებისას ფულის ბრუნვის სისმირე უფრო მეტია, ვიდრე გრძელვადიანი დაკრედიტებისას; ამიტომ კომერციული ბანკები ამჯობინებენ უფრო სწრაფად აბრუნონ შეზღუდული ფინანსური რესურსები ვიდრე დააბანდონ იგი გრძელვადიანაქტივებში.
- მოზიდული სახსრების, კერძოდ კი დეპოზიტების ნაკლებვადიანობა, რომლის გამომ-

წვევი ძირითადი მიზეზია ნდობის ნაკლებობა საბანკო სექტორის მიმართ;

□ პოლიტიკური რისკი – განვითრებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში, მათ შორის საქართველოშიც არსებული პოლიტიკური მდგომარეობა, უარყოფითად აისახება ბიზნესზე;

ამ მიზეზების შედეგია საქართველოს საკრედიტო ბაზარზე შექმნილი დღევანდელი რეალობა. კერძოდ, ერთი მხრივ ბიზნესესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში 15%-ს არ აღემატება, მეორე მხრივ, დაფინანსებული მცირე და საშუალო ბიზნესის ვადიანობა ძირითადად მერყეობს 12-დან 24 თვემდე. ამის გამო საბაზრო გკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, კომერციული ბანკები სრულად ვერ ასრულებენ ეკონომიკის მასტიმულირებელ, გამაჯანსაღებელ როლს.

დღევანდელპირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესის საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფას ხელს უშლის შემდეგი მიზეზები:

1. სამეწარმეო სტრუქტურების აბსოლუტურ უმრავლესობის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც განაპირობებს სკომერციული ბანკების მხრიდან ნაკლებ დაინტერესებას მათ დაფინანსებაზე. ასეთი სახის საწარმოების ძირითადი ნაწილი სესხის დაბრუნების თვალსაზრისით კომერციული ბანკების პოზიციიდან ნაკლებსამედოა. ამიტომ საკრედიტო სუბიექტები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ მათ დაკრედიტებაში;

2. რესურსების სიმცირე, რაც განაპირობებს იმას, რომ დაკრედიტების დროს ბანკები უპირატესობას უფრო მსხვილ საწარმოო სუბიექტებს ანიჭებენ, რომელთაც აქვთ სესხის საიმედო უზრუნველყოფა;

3. ვადაგადაცილებული სესხების რაოდენობის ზრდა მთლიან საკრედიტო პორტფელში, რაც ბანკის ლიკვიდობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამის პარალელურად, არ არსებობს აღნიშნული რისკის დაზღვევის თუ გადაზღვევის მექანიზმი, რომ საკრედიტო ორგანიზაციას საშუალება მიეცეს სესხის გადახდისუუნარობით გამოწვეული რისკი გადაანაწილოს სხვა ეკონომიკურ სუბიექტზე.

კანტენდეიტონ (პაპატა) პლაიაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, თსუ-ის დოქტორანტი

ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ახალი შესაძლებლობები საქართველოში

XX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ტრანსფორმაცია და აუდიტორული საქმიანობის ჩამოყალიბება. XXI საუკუნის დასაწ'ისიდან კი ქმედი საგადაღებულო გახდა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, სტანდარტების მოთხოვნების პრაქტიკაში გამოყენების ხარისხის გაზრდისათვის აღნიშნული პერიოდიდან დღემდე არაერთი ღონისძიება განხორციელდა, როგორც სახელმწიფო უწევების (მაგალითად, საქართველოს პარლამენტის), ასევე ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციების (უპირველეს ყოვლისა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის) მიერ როგორც საკუთარი რესურსებით, ისე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ათ წელზე მეტი დროის გასვლისა და მიღწეული გარკვეული წარმატებებისა, საქართველომ ვერ შეძლო ამ მიმართულებით თანამედროვე ეკონომიკულ დონესთან მიახლოებაც კი.

იმის დასადგენად, თუ რატომ ვერ მოვახერხეთ აღნიშნული უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის სასტარტო პოზიციები, რომელიც გვქონდა ჩვენ და ევროპის ქვეყნებს XXI საუკუნის დასაწყისში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში და ამის შემდეგ მოვახდინოთ ანალიზი. თუმცა, ანალიზის გამარტივებისათვის უმჯობესი იქნება შესაძრებლად ავიდოთ ერთ რომელიმე, თუნდაც 2013 წელს განხორციელებული აქტივობები, ვინაიდან წლების მიხედვით ისინი უმეტეს შემთხვევაში მსგავსია.

საქართველოში აღნიშნულ აქტივობებს ბოლო წლებში მირითადად საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფ) ახორციელებს, თუმცა მისი რესურსები შეზღუდულია და შესაბამისად განხორციელებული აქტივობები ვერ იქნება საქმარისი ქვეანაში აღრიცხვის სფეროს იმ ტემპით განვითარებისათვის, რაც მოკლე დროში უზრუნველოფს თანამდროვე ეკონომიკულ დონესთან დაახლოებას. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნა უკანასკნელად მხოლოდ 2009 წელს მოხერხდა.

გაცილებით მრავალფეროვანია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) მიერ განხორციელებული საქმიანობა. თითოეულ წელს ის ახდენს სხვადასხვა აქტივობების იმპლემენტაციას წინასწარ განსაზღვრული შემდეგი თოხი მიმართულებით: სტანდარტები და გაიდლაინები (Standards and Guidance), აღაპტაცია და იმპლემენტაცია (Adoption and Implementation), განვითარება და ხარისხი (Development and Quality), საუბრები/განხილვები (Speaking Out).

აქტივობები თრიენტირებულია როგორც ფასს-ების, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტების გამოყენების ხელშეწყობისაკენ, კერძოდ, მხოლოდ პირველი მიმართულებით: 2013 წლის მარტში ფედერაციამ გამოსცა ამავე წლის 1 იანვრის მდგომარეობით განახლე-

ბუღი ფასს-ები, ე.წ. „წითელი წიგნი“ (2013 International Financial Reporting Standards IFRS® (Red Book)¹), 2013 წლის ივლისში გამოსცა სახელმძღვანელო მითითებები ფასს-თან დაკავშირებით, ე.წ. „მწვანე წიგნი“ (A Guide through IFRS® July 2013 (Green Book)). როგორც გამოცემის ან-ოტაციაშია² მოცემული, ის არის დამატებითი საგანმანათლებლო სახელმძღვანელო, რომელიც განსაკუთრებით სასარგებლო იქნება იმათვეს, ვინც სწავლობს ან ასწავლის ფასს-ებს.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მოცემულია კონცეპტუალური ჩარჩოები და ძირითადი მოთხოვნები ფასს-ებთან, ბასს-ებთან და მათ ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია დაკავშირებული და თანმხლები დოკუმენტები, საილუსტრაციო მაგალითები, სტანდარტების გამოყენების გაიდლაინები, ბასსს-ს ტექნიკური მითითებები ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში, დასკვნები და განსხვავებული მოსაზრებები.

საგულისხმოა, რომ წიგნის პირველი ნაწილი არის 1504 გვერდიანი, ხოლო მეორე ნაწილი 2336 გვერდიანი. ბსფ-მ 2013 წელს ასევე გამოსცა ეწ. „ლურჯი წიგნი“ (2013 International Financial Reporting Standards IFRS® Consolidated without early application (Blue Book)³), რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან (საერთო ჯამში 3744 გვერდი) და ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს დაინტერესებულ პირებს, ვინაიდან მასში მოცემულია მხოლოდ 2013 წლის დასაწყისისათვის მოქმედი ნორმები და მათი პრაქტიკაში გამოიწყების კონკრეტული ასპექტები. 2013 წლის ნოემბრის თვიდან უკვე შესაძლებელია ბსფ-ის მიერ შექმნილი კიდევ ერთი ინოვაციური სერვისით სარგებლობა. ეს არის ელექტრონული ფასს-ების ვებ აპლიკაცია (eIFRS Web App), რომელიც მუშაობს როგორც თნლაინ, ისე თველაინ რეკიმში დღეის მდგრმარეობით iOS მობილურ სისტემის მქონე მობილურ ტელეფონებში და პლანშეტებში, ხოლო უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება ანდროიდის თერაციული სისტემის მიერ.

ბსფ-ს მიერ 2009 წელს შემუშავებული იქნა ფასს-ები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs, July 2009)⁴ და დაიწურ მთელი რიგი ლონისძიებების დაგეგმვა და აქტიური განხორციელება ბსფ-ს წევრ სახელმწიფოებში მისი დანერგვისათვის. იმავე წელს გამოცემული იქნა სახელმძღვანელო მცირე და საშუალო საწარმოო ფასს-ების გამოყენების გამარტივებისათვის (A Guide for Micro-sized Entities Applying the IFRS for SMEs 2009 Bundle), 2013 წელს კი შემუშავებული იქნა ილუსტრირებული სახელმძღვანელო (გაიდლაინი) მცირე და საშუალო საწარმოო ფასს-ებთან დაკავშირებით (Illustrative Guidance IFRS for SMEs, June 2013). ‘ოველივე ეს ბსფ-ის მიერ ხორციელდება 2013-2016 წლების სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის (Strategy And Work Plan, 2013-2016) ფარგლებში, რომელიც შემუშავებული იქნა „მცირე და საშუალო პრაქტიკის კომიტეტის“ (Small and Medium Practices Committee - SMP) მიერ 2012 წლის დეკემბერში და განსაზღვრავს ბსფ-ს იმ სერვისების ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ აღრიცხვის პრაქტიკის გაუმჯობესებას მცირე და საშუალო საწარმოებში.

ადნიშნული სტრატეგიის იმპლემენტაციისათვის SMP კომიტეტი ‘ოველწლიურად შეიმუშავებს და ამტკიცებს სამუშაო გეგმებს, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თითოეულ წელს განსახორციელებელი აქტივობები ბსფ-ის მიერ განსაზღვრული ოთხი მიმართულებით. 2013 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ის ისეთი დონისძიებების და პროექტების განხ-

¹ <http://shop.ifrs.org/ProductCatalog/Product.aspx?ID=1734>

² <http://shop.ifrs.org/ProductCatalog/Product.aspx?ID=1764>

³ <http://eifrs.ifrs.org/eifrs/RegisterMyInterest>

⁴ <http://shop.ifrs.org/ProductCatalog/Product.aspx?ID=1767>

ორციელება, როგორებიცაა: გაიდლაინებისა და მანუალების დამუშავება და გამოცემა სხვადასხვა სააღრიცხვო საკითხებთან, ასევე აღნიშნულ საწარმოებში აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით, სტანდარტების გამოყენების პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება საწარმოთა შორის, საინტერესო პუბლიკაციების გამოცემა, კვლევების ჩატარება, დისკუსიების და კონფერენციების ორგანიზება ცალკეულ საკითხებზე, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების რესურსების გამოყენება, ელექტრონული პროგრამის SMP Quick Poll განახლება და გამოყენება, რომელიც უზრუნველ'ოფს პროფესიის წარმომადგენელთა სწრაფ თხლაინ დახმარებას. აღნიშნული პროგრამა უკვე ადაპტირებულია 15 ენაზე, ხოლო თავად მცირე და საშუალო საწარმოთა ფასსები დღეის მდგომარეობით თარგმნილია 26 ენაზე (მათ შორის სომხურად, თურქულად, უკრაინულად და ა.შ.), რომელთა შორის, სამწუხაროდ არ არის ქართული.

ბსფ-ის გარდა, ამ კუთხით, უურადღების ღირსია აგრეოვე ეროვნული პროფესიული ორგანიზების საქმიანობა, რომლებიც ასევე ახორციელებენ მნიშვნელოვან ღონისძიებებს საკუთარ ქვეწებში სტანდარტების გამოყენების გამარტივებისათვის. ასე მაგალითად, ინგლისისა და უელსის ნაფიც ბუდალტერთა ინსტიტუტს (ICAEW - The Institute of Chartered Accountants in England and Wales) საკუთარ ვებ-გვერდზე შექმნილი აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა⁵. სადაც გარდა სტანდარტებისა (ფასს, ბასს, მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტები), მოცემულია ასევე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა საჭირო მასალები, მათ შორის სტანდარტების რეზიუმეები, პრეს რელიზები, გაიდლაინები (გ.შ. მოკლე ანუ ე.წ. ჯიბის გაიდლაინი, Pocket Guide), კითხვა-პასუხები სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით, საინტერესო პუბლიკაციები, ელექტრონული ჟურნალები, ცალკეულ საკითხებზე დისკუსიების შედეგები, კონსულტაციების რეზიუმეები, სახელმძღვანელოები. ორგანიზაცია საკუთარ წევრებს ასევე სთავაზობს უფასო სატელეფონო, თხლაინ (ელ. ფოსტის საშუალებით) და უშუალო (ოფისში) კონსულტაციებს. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს, ერთი მხრივ იმაზე, რომ დამატებითი დამხმარე მასალების გარეშე სტანდარტების სრულყოფილი გამოყენება პრაქტიკაში ძალიან როცლია (ან შეუძლებელია), ხოლო მეორე მხრივ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვნად მიიჩნევს და რაოდენ დიდ უურადღებას უთმობს საერთაშორისო ფედერაცია და ეროვნული ფედერაციები დამატებითი დამხმარე მასალების შემუშავებასა და გავრცელებას.

ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, საერთაშორისო სტანდარტების სრულად დანერგვისათვის, უფრო მეტად მნიშვნელოვანია მსგავსი დამხმარე სახელმძღვანელოების და სხვა ანალოგიური რესურსების გამოყენება, ვიდრე ევროპის ქვეწებში, იმ აშკარად განსხვავებული სასტარტო მდგომარეობის გამო, რომელზეც უკვე აღვნიშნეთ. შესაბამისად, აუცილებლობად მიგვაჩნია, არა მარტი ის, რომ ქართულად ითარგმნის და გამოიცეს მხოლოდ სტანდარტები, არამედ საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული, სტანდარტებთან დაკავშირებული ყველა მასალა. განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტების დანერგვას, ვინაიდან ჩვენი ეკონომიკისა და სამეურნეო სუბიექტების საეციფიკიდან გამომდინარე მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტების მომხმარებელთა რაოდენობა იქნება გაცილებით მეტი ქვეყანაში ვიდრე თუნდაც ფასსებისა. თუმცა იმის გამო, რომ საქართველო არის მცირე ზომის ქვეყანა, ბუდალტერთა და აუდიტორთა რაოდენობაც ბუნებრივია არ არის დიდი და პროფესიულ ირგანიზაციებსაც არ ყავთ წევრთა დიდი რაოდენობა, ამიტომ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის მხოლოდ ის რესურსები, რომელიც გააჩნიათ დღეს საქართველოში მოქმედ პროფესიულ ორგანიზაციებს, აშკარად არ

⁵ <http://www.icaew.com/en/library>

იქნება საკმარისი და აუცილებელია დამატებითი წყაროების მოძიება.

დამატებითი რესურსები შეიძლება მოზიდული იქნეს სახელმწიფოსაგან, ან დონორი ორგანიზაციებისაგან. მაგრამ, ეს ყველაფერი შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში და არა მუდმივად. მაგალითად სახელმწიფომ შეიძლება მხარი დაუჭიროს (მათ შორის ფინანსურად) უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში აღრიცხვის (აუდიტის) სფეროს განვითარებას, სანამ არ აღმოიფხვრება ჩამორჩენა ბსფ-ის მიერ ამ ეტაპზე განხორციელებად აქტივობებთან. ,ხედველობაში გვაქს 5 ახალი ფასეს-ის დანერგვა საქართველოში, რომელიც გამოცემულია ბსფ-ს მიერ; მცირე და საშუალო საწარმოთა ფასეს-ების დანერგვის დონისძიებების განხორციელებას ბსფ 2013-2016 წლების სტრატეგიის შესაბამისად.

ქვეყნის დღვევანდელი ეკონომიკური შესაძლებლებების (ეკონომიკური ზრდა, საბიუჯეტო შემოსავლები) გათვალისწინებით უფრო რეალურად გვეჩვენება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთა უშუალო ხელშეწყობით (მ.შ. ფინანსური და ინტელექტუალური) დაიწყო საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროს ტრანსფორმაცია XX საუკუნის ბოლოს და რომლებიც დღესაც მზად არიან მხარი დაუჭირონ ქვეყანას ამ მიმართულებით. ერთ-ერთ ასეთ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს მსოფლიო ბანკი. ის 2004 წლიდან ახდენს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნების საბუღალტრო და აუდიტის სტანდარტების მიმოხილვას, რათა დაეხმაროს მათ აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს განვითარებისათვის სწორი პოლიტიკის ფორმირებაში.

2013 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მსოფლიო ბანკის კიდევ ერთი ახალი პროგრამა - "აუდიტის და ანგარიშგების გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებში"⁶ (Strengthening Auditing and Reporting in the Countries of the Eastern Partnership - STAREP), რომელიც მიზანად ისახავს, შექმნას გამჭვირვალე გარემო და ეფექტური ინსტიტუციური ჩარჩოები კორპორაციული ანგარიშგების განვითარებისათვის, ასევე მისი მეშვეობით, აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნები, მ.შ. საქართველოც ევროკავშირის კანონების და რეგულაციების სისტემის მოთხოვნების გათვალისწინებას შემდებენ. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარების გაწევა ფინანსთა სამინისტროებისათვის, ბუღალტრებისათვის, ფინანსური სფეროს მარეგულირებელი ორგანიზაციის და ლექტორებისათვის, რომლებიც ასწავლიან ბუღალტრიას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სამ თემატურ კომპონენტს: 1) განათლების რეფორმას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, რომელიც მიმართული იქნება განათლების სისტემის რეფორმის სტიმულირებისკენ; 2) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებს, რომლებიც აქცენტირებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესებზე და 3) ფინანსური სექტორის პრაქტიკული ფორუმი, რათა გაიზარდოს ფინანსური სექტორის ხელმძღვანელთა ინფორმირება IFRS-ებთან დაკავშირებით⁷.

STAREP პროგრამა განხორციელდება 2017 წლამდე და ამ სის მანძილზე ქვეყნის ყველა შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო უწყების მიერ მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისკენ, რომ სრულად იქნეს გამოყენებული აღნიშნული პროგრამის რესურსები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის (ასევე აუდიტის) სფეროს შემდგომი განვითარებისა და თანამედროვე ევროპულ დონესთან გათანაბრებისათვის.

⁶ <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/COUNTRIES/ECAEXT/EXTCENFINREPREF/0,,contentMDK:23468684~menuPK:9341867~pagePK:64168445~piPK:64168309~theSitePK:4152118,00.html>

⁷ <http://gfpaa.ge/site/images/stories/Vienna-09-2013.pdf>

გოგომოლოგი ო.ო.

დონეცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი

საჭარმოს საინფორმაციო სისტემების აგების კონცეფცია, როგორც ეკონომიკური სუბიექტის მართვის ძირითადი ფაზები

ეკონომიკური სუბიექტის მართვის პროცესში საინფორმაციო სერვისის საფუძვლების, მფოდებებისა და მოდელების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება აქტუალური სამეცნიერო პრობლემა.

ნაშრომის ძირითადი მიზანია საინფორმაციო სერვისის კონცეპტუალური მიღებობის, საწარმო პროცესების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება და ამ სისტემის გამოყენება მიზნობრივი ბაზრის გაფართოების საქმეში, ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ნაშრომის სრული ვერსია იხილეთ ჟურნალის რესულენტან ნაწილში.

გოგომი შანიმე

ბიზნესის და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და ა.კ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

მეცნიერის რამდენიმე აუცილებელი თვისება

თანამედროვე მენეჯერი მრავალ ძირითად თვისებას უნდა ფლობდეს, მაგრამ მათ შორის გამოყენოთ რამდენიმე მათგანი, რომელიც ესოდენ საყურადღებოა ეფექტიანი მართვისათვის. მენეჯერმა აუცილებლად უნდა აიღოს სორიენტაცია მომავალზე და უნდა იყოს ლიდერი – სხვა შემთხვევაში თუ უნდა, წარმატებული ხელმძღვანელი ვერ იქნება. რამდენიმე წლის წინ ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო გამოერკვიათ თუ რა საერთო თვისებები პქნდა მსოფლიო ისტორიის ლიდერებს. საბოლოო ჯამში აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ერთი საერთო თვისება – ეს არის მომავლის ხედვის უნარი. ლიდერებს შეუძლიათ მომავლის დანახვა სხვებს არა. ლიდერები ხედავენ ნათელ მომავალს თავისი ბიზნესისათვის, ოჯახისათვის, საკუთარი თავისათვის, ქვეყნისათვის. ისინი ხედავენ ბრწყინვალე მომავალს და მერე იწყებენ მუშაობას ამ მომავლის შესაქმნელად. ისინი საკმაოდ დიდ დროს უთმობენ მომავალზე ფიქრს, თუ როგორ შეიძლება მიაღწიონ დასახულ მიზნებს და ნაკლებად ფიქრობენ წარსულზე. სახოგადოების მხოლოდ 10% უყურებს მომავალს, დანარჩენები კი, როგორც წესი ტკბებიან წუთიერი, ყოველდღიური სიამოვნებით ან ძირითადად წარსულსაკენ აქვთ მზერა მიპყრობილი.

მენეჯერი, რომელიც ფიქრობს მომავალზე, ის მომენტალურად გასცემს კითხვაზე პა-

სუსს თუ როგორია მისი იდეალური მომავალი, ვინაიდან ხშირად ფიქრობს მასზე. ვისაც არ აქვს მომავლზე ნაფიქრი, ის პასუს დაყოვნებს და შემდეგ დაიწყებს ფიქრს. ვისაც მომავლის ხედვა აქვს, მათ იციან, რატომ მიდიან მომავლისკენ და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მიაღწიონ დასახულ მიზნებს. სხვა ტიპის ადამიანებს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მომავალზე. წარუმატებელ ადამიანებს კი ხშირად უჭირთ მომავლის ხედვის ჩამოყალიბება.

მიზანს, რომელსაც ვერ ხედავ შეუძლებელია მისი მიღწევა. ამიტომ, მენეჯერმა უპირველესად უნდა განსაზღვროს მიზნები და მის შემდეგ ჩამოაყალიბოს მისი მიღწევის საშუალებები. ყოველივე ამაზე ფიქრისას მენეჯერი ხდება ოპტიმისტიც, ხდება კრეატიულიც და რეალობასაც აფასებს სამართლიანად. ამ მიმართულებით მუშაობის შედეგად ხელმძღვანელი გრძნობს ენერგიას, ენოუზიაზმს და ძალას, იზრდება მისი მოტივაციაც.

მენეჯერმა, აგრეოვე უნდა გაითვალისწინოს, მის დაქვემდებარებაში მყოფი პერსონალის შექებისა და შენიშვნის მიცემის წესები. მან აუცილებლად უნდა შეაქოს თანამშრომელი საჯაროდ, ხოლო შენიშვნა კი უნდა მისცეს სხვისგან შეუმჩნევლად. ვერც ერთი კომპანია ვერ შესძლებს გახდეს წარმატებული თუ ამ კომპანიაში მისი ხელმძღვანელები შიშით და სიმკაცრით მართავენ თანამშრომლებს. მათ აუცილებლად უნდა შეეძლოთ თანამშრომლების საქმიანობის შეფასება და წარმატებული თანამშრომლები უნდა შეაქოს კორექტულობა უნდა გამოიჩინონ.

წარმატებულ კომპანიაში თანამშრომლების მართვა ხდება ლიდერობის უნარ-ჩვევების საშუალებით, რომელიც, პირველ რიგში გულისხმობს კარგ დამოკიდებულებას საკუთარ თანამშრომლებთან. არ შეიძლება, რომ თანამშრომელი უბრალოდ გაუშვა სამსახურიდან იმ მიზეზის გამო, რომ ის ვერ აკეთებს საქმეს. მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ თავში ჩაიხდოს მენეჯერმა და გაანალიზოს რამდენად დაეხმარა მას საქმის სწორად გაკეთებაში, რამდენად ასწავლა მას ყველაფერი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. კომპანია, ხომ თანამშრომლებისაგან შედგება – შესაბამისად თითოეული თანამშრომლის მოტივირებულობა და მონიტორინგის მნიშვნელოვანია საერთო წარმატების საქმეში.

თანამშრომლებთან ურთიერთობაში მენეჯერი უნდა იყოს სამართლიანი. სანამ დაელაპარაკება თანამშრომელს და მისცემს შენიშვნას წინასწარ უნდა გაანალიზოს ამ ყველაფრის განხორციელების ფორმა, ტიპი, ადგილი და დრო. დააყენოს საკუთარი თავი თანამშრომლის ადგილას და დაფიქრდეს, მისოვის როგორი ფორმით იქნება ეს უფრო მეტად მისაღები. ზოგადად, საკუთარი თავის სხვის ადგილას წარმოდგენა საკმაოდ კარგი თვისებაა და ხშირად სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება მენეჯერს.

მენეჯერმა, თანამშრომლისათვის შენიშვნის მიცემა არ უნდა მოახდინოს წერილობით ან სხვების თანდასწრებით. ორივე შემთხვევაში თანამშრომლისათვის ასეთი ფორმით მიღებული შენიშვნა იქნება განსაკუთრებით მტკიცნეული და საწყენი. სხვების თანდასწრებით მიღებული შენიშვნა დამცირების ტილფასია, რაც ყველოვის ცუდად მოქმედებს ადამიანებზე.

წერილობით მიღებული შენიშვნის შემთხვევაში ბუნებრივად როული გასაგებია წერილის ტონი. ამიტომ, როგორც წესი, თანამშრომლის მიერ ხდება ყველაზე ცუდი სურათის წარმოდგენა და წერილობით მიღებული შენიშვნა იწვევს განსაკუთრებულ დემოტივაციას.

როდესაც ხელმძღვანელს სურს, რომ შეაქოს თანამშრომელი ამ შემთხვევაში ეს უნდა გააკეთოს საპირისპირო წესით. სხვების თანდასწრებით მიღებული შექება 2-ჯერ უფრო დირებულია. წერილობით მადლობასაც თანამშრომელი უფრო დადებითად აღიქვამს ზეპირ შექებასთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში იზრდება თანამშრომლების მოტივაცია, რაც საბოლოო ჯამში ხრდის კომპანიის შედეგებს.

უდაოა, რომ თანამშრომლების კვალიფიკაციაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მენეჯერმა შეარჩიოს ისეთი თანამშრომლი, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მოთხოვნებს და წარმატებებს მოუტანს კომპანიას. ამდენად, სანამ გამოაცხადდება ვაკანსია საჭიროა, რომ სრულყოფილად ჩამოყალიბდეს: თანამდებობის ამოცანები, ფუნქციები და კანდიდატის პიროვნული თვისებები. შეიქმნას კონკრეტული ვაკანსიის შესაბამისი იდეალური თანამშრომლის თვისებების და უნარების სურათი, ხოლო თანამშრომლის შერჩევისას მაქსიმალურად მივუახლოვდეთ შექმნილ იდეალს. კარგი თანამშრომლის მოძიება მენეჯერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია. თანამშრომლის ამოცანების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა მომზადდეს წესი, რომლის მიხედვითაც მოხდება თანამშრომლის შეფასება, დაიწერება რას ელოდება მისგან და ანგარიშების როგორი სისტემა ექნება.

მენეჯერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება არის თანამშრომლებთან ურთიერთობა, მათი მართვა. თანამშრომლების მართვის მთავარი იარაღი არის საქმეების სწორად გადანაწილება და დელეგაციება.

მენეჯერის ძირითადი ფუნქცია თანამშრომლებთან ურთიერთობისას შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

დაგეგმვა. სწორი დაგეგმვა შესასრულებელი საქმის ნახევარია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ხელმძღვანელის მიერ სწორად მოხდეს საქმეების დაგეგმვა. მენეჯერის ჩართულობა ამ ეტაპზე არის უმნიშვნელოვანესი. ამოცანების დაგეგმვა უმჯობესია, რომ მოხდეს უშუალოდ კომპანიის თანამშრომლებთან ერთად. მენეჯერმა უნდა დახარჯოს საქმარისი რაოდენობის დრო იმისათვის, რომ დაგეგმილი სამუშაოები იყოს მაქსიმალურად ზუსტი და კომპანიების მიზნებთან შესაბამისობაში. მენეჯერის მიზანი უნდა იყოს გაზარდოს თანამშრომლები იმისათვის, რომ მათ შემდგომში თვითონ შეძლონ სამუშაოების დაგეგმვა, მიეცეს თანამშრომლებს მეტი თავისუფლება, რაც შედეგად მეტი სარგებლის მომტანი იქნება კომპანიისათვის.

სამუშაოს შესრულების კონტროლი. ამოცანის შესრულების პროცესში მნიშვნელოვანია მენეჯერის ჩართულობა, ოდონდ ეს არ უნდა გადაიქცეს მკაცრ კონტროლად. ზოგიერთი მენეჯერი დღის განმავლობაში ხშირად ეკითხება სამუშაოს შესრულების მდგომარეობას თავის დაქვემდებარებულს, რითაც აგრძნობინებს, რომ მათ არ ენდობიან. ეს იწვევს თანამშრომლის სტრესს და დემოტივაციას, შედეგად კი ეცემა შესრულებული სამუშაოს ხარისხი. ახალ თანამშრომელთან დელეგირების ხარისხი უნდა იყოს ნაკლები. წარმატებული მენეჯერის მიზანია, რომ ეტაპობრივად გაზარდოს ნდობა და დელეგირების ხარისხი. სამუშაოს შესრულების ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომელმა დამოუკიდებლად იმუშაოს, თუმცა მენეჯერმა უნდა დადოს შეთანხმება მასთან, რომ ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში ჩააყენებს საქმის კურსში. ამ შემთხვევაში მენეჯერი აუცილებლად უნდა ჩაერთოს პრობლემის მოვარეობაში და გვერდით დაუდგეს საკუთარ თანამშრომელს, იმისათვის, რომ დასახული ამოცანების შესრულება მოხდეს დროულად და ხარისხიანად.

თანამშრომელმა უნდა იგრძნოს რომ ხელმძღვანელის სახით მას მზრუნველი უფროსი პყავს, რომლის ნდობა შესაძლებელია, თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს ისეთ მდგომარეობაში როცა თანამშრომლები სანახევროდ გააკეთებენ საკუთარ საქმეს იმიტომ, რომ მენეჯერის იმედი ექნებათ. უმჯობესია, წინასწარ განისაზღვროს პერიოდულობა თანამშრომლებთან შეხვედრისა და განიხილებოდეს ამოცანის შესრულების მდგომარეობა.

შესრულებული სამუშაოს შეფასება. თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო უნდა შე-

ფასდეს ობიექტურად, მას არ უნდა დარჩეს კითხვები შეფასებასთან დაკავშირებით. მენეჯერმა თავის მუშაკს უნდა აუსხნას მის მიერ დაშვებული შეცდომები, მისცეს რჩევები იმისათვის, რომ მომავალში გაიზარდოს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. იმისათვის რომ ხელმძღვანელის შეფასება იყოს ობიექტურია მნიშვნელოვანია, რომ სამუშაოს დელეგირება მოხდეს სწორად, თანამშრომელმა წინასწარ უნდა იცოდეს თუ რის მიხედვით მოხდება მისი შეფასება, ეს ააცილებს გაურკვევლობებს საქმის შეფასებას.

ამდენად, ჩვენ შევეხეთ მენეჯერის იმ უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევებსა და თვისებებს, რომელსაც სხვა თვისებებთან ერთად უნდა ფლობდეს თანამედროვე მენეჯერი. ეს თვისებები მას მისცემს შესაძლებლობას, რომ კომპანიას წარმატებით გაუძღვეს, თამანშრომლებთან კარგი ურთიეროობები ჰქონდეს და მათ მოტივაციის ამაღლებაში დაეხმაროს.

ბაზარისაროვა დ.გ.

დოქტორანტი, პერსონალის მართვის რეგიონალური აკადემიის დონეცკის ინსტიტუტი

06ტენივ-ტურიზმი, როგორც ტურისტული საჭარბოების მუშაკთა სამოტივაციო პოტენციალის დონის ამაღლების საშუალება

ინტენსივ-ტურიზმი შედარებით ახალი მოვლენაა და შესაბამისად, შეუსწავლელიც. ამაზე მიუთიხებს გამოკვლევათა სიმწირე ამ სფეროში. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვნებს, იგი არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება მუშაკთა მოტივაციის გაუმჯობესებისა და ზოგადად, შრომის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ნაშრომის მიზანია ინტენსივ-ტურიზმის ძირითადი მიმართულებების დახასიათება, მისი ეფექტიანობის დასაბუთება და გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა ტურიზმის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომითი მოტივაციის გასაუმჯობესებლად.

ნაშრომის სრული ვერსია იხილეთ უურნალის რუსულენოვან ნაწილში.

ლარისა ჩვაურდა

Ph.D., ასოცირებული პროფესორი, ჩერკასკის ტექნოლოგიური
უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სტრატეგიული მენეჯმენტის პრცეფცია მომსახურების სვეროვი

სტატია განიხილავს მომსახურების სფეროს სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითად მიმართულებებს, განსაკუთრებით ტურიზმის ინდუსტრიის მიმართულებით.

ავტორი ავითარებს და ასაბუთებს იმ მოსახურებას, რომ ცვალებადი ბაზრის პირობებში თრგანიზაციები იძულებულნი არიან შეიმუშაონ განვითარების სტრატეგია, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიმკვიდრონ სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფციის ელემენტებმა.

ნაშრომის სრული ვერსია იხილეთ ჟურნალის ინგლისურენოვან ნაწილში.

ლოგო 3.3.

ე.მ.კ., კიევის ტექნოლოგიისა და დიზაინის
ეროვნული უნივერსიტეტის დოცენტი

ეპონომიკური უსაფრთხოების დონის მონიტორინგი ექსპერტული სისტემის გამოყენებით

ეპონომიკური უსაფრთხოების რეგულირების პროცესი ყველა დონეზე (სახელმწიფოებრივი, რეგიონული, საწარმო) ეკონომიკური სისტემების დაცვისაკენ არის მიმართული. ასეთი დაცულობის ძირითადი მიზანია მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ეკონომიკური უსაფრთხოება არის ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგრადობის საფუძველი. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების დონის მონიტორინგის აქტუალური საკითხები ექსპერტული სისტემის გამოყენებით.

ნაშრომის სრული ვერსია იხილეთ ჟურნალის რუსულენოვან ნაწილში.

ნანა ლუსტაშვილი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

შეგვიძლია თუ არა შინასწარმეტყველება მომავლის

ნებისმიერი მენეჯერისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ განორციელებული საქმიანობა წარმატებული იყოს. ეს კი მოითხოვს მენეჯერისაგან სერიოზულ ფიქრსა და განსჯას მომავალზე.

როგორც ცნობილია, საწარმოო პროცესი ხორციელდება შიდა და გარე სიტუაციური ფაქტორების ზემოქმედებით. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნებათ: მიზნები, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია და ადამიანები. ხოლო გარე ფაქტორების ქვეშ გულისხმობენ ფაქტორებს, რომლებიც გვევლინებიან ორგანიზაციათა ფუნქციონირების, არსებობისა და ეფექტიანობის ხელშემწყობად.

განასხვავებენ პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებს.

პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს მიეკუთვნება: მიმწოდებლები, შრომითი რესურსები, კანონები და სახელმწიფო დაწესებულებები, მომსმარებლები, კონკურენტები და საკონტაქტო აუდიტორია, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ორგანიზაციის შედეგებზე.

ირიბი ზემოქმედების ფაქტორებს კი პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალურ-კულტურული, კონკურენტული და ბუნებრივი გარემო.

გარემო ფაქტორებიდან ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილება იწვევს სხვების ცვლილებასაც, მაგალითად, ნაგოობზე ფასების ზრდა იწვევს ეკონომიკის უველა დარგში ფასების ზრდას.

გარე ფაქტორების ზეგავლენის შესწავლისას აუცილებელია გავაანალიზოთ:

- გარემო ფაქტორების რომელი ასპექტები უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული და რომელი იგნორებული?

- შეიძლება თუ არა ვიწინასწარმეტყველოთ მომავალი მოვლენები?

- რამდენად შორს უნდა განსჭვრიობონ ორგანიზაციებმა მომავალი?

- როგორ შეუძლია ორგანიზაციას მინიმუმამდე დაიყვანოს გარე პირობებიდან გამომდინარე საშიშროება და ისარგებლონ არსებული შესაძლებლობებით?

პოლიტიკური და სამართლებრივი, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კონკურენციული, სოციალური და ბუნებრივი გარემო ეს ის ასპექტებია, რომელთა იგნორირება დაუშვებელია.

კიოხვაზე: „არის თუ არა შესაძლებლობა რაიმე ხერხით ვიწინასწარმეტყველოთ, რა მოხდება მომავალში?“ — მოკლედ შეგვიძლია ვუპასუხოთ: „არა, ზუსტად არ შეგვიძლია.“ მიუხედავად ამისა უნდა, ვეცადოთ და არსებობს კიდევ რამოდენიმე მეორდი, რომელიც განკუთვნილია მომავლის რაღაც ელემენტების გასარკვევად.

გ
ე
ნ
ე
რ
ა
რ
მ
ე
ტ
ო
რ
ე
ბ
ი
ს
ტ
ა
რ
მ
ე
ტ
ო
რ
ე
ბ
ი
ს

„ფუტუროლოგია” — ასე ეწოდება მეცნიერებას, რომელიც ცდილობს განსაზღვროს გარემოს განვითარების მიმართულებები წინასწარ, რამდენიმე წლით ადრე. ფუტუროლოგი გვიხატავენ „განვითარების სცენარს”, როგორც ისინი მას უწოდებენ თანამედროვე ტენდენციების განვითარებისა და მათი მომავალში პროეცირების საფუძველზე. მომავლის წინასწარმეტყველები სცენარის შემუშავების თავიანთი მეთოდებით მიიწევენ კიდევ უფრო წინ. ისინი გვიხატავენ შორეული მომავლის 2-3 ვარიანტს, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთან ისმის კითხვა, სახელდობრ რა უნდა მოიმოქმედოს ორგანიზაციაში, რომ გადარჩეს ნებისმიერ ვარიანტში.

დელფის მეთოდი — აღნიშნული მეთოდი ცნობილია „დელფის” სახელწოდებით, ძველ საბერძნეთში ქ. დელფის თრაკულის საპატივცემულოდ. თრაკული ცნობილი იყო თავისი ზუსტი წინასწარმეტყველებით ქრისტესშობამდე VIII-V საუკუნეებში.

ჩვენს დროში პროგნოზებს აკეთებენ ექცერტი-კონსულტანტები ამა თუ იმ სფეროში და არა აპოლონის დმერთის ქურუმები. მთლიანობაში დელფის მეთოდი მდგომარეობს მომავალში რომელიდაც მოსახდენ მოვლენაზე, ექსპერტთა შეხედულებათა შეპირისპირება-შედარებაში და მათი საერთო შეხედულების გამოვლენაში. მაგალითად, თუ ოცდაათი მანქანაომშენებლობის ექსპერტი თვლის, რომ 2020 წლისთვის ელექტრომობილებზე უფრო გაიზრდება მოთხოვნა, ვიდრე ჩვეულებრივ ავტომობილებზე, მაშინ თქვენ შეგიძლიათ მათი შეხედულების საფუძველზე მიიღოთ გადაწყვეტილება - გაყიდოთ თქვენი ბენზოგასამართი სადგური. რათქმა უნდა, შეიძლება ისინი შეცდნენ, მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

ეპონომიკური მოდელი — ეკონომიკური მოვლენების ამოცნობის პოპულარულ მეთოდს წარმოადგენს წარმოსახვითი ეკონომიკის შექმნა კომპიუტერზე და ამ მოდელში უამრავი ინფორმაციის შეფანა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი სამუშაოს შედეგები საშუალებას მოგვცემენ განვსაზღვროთ ეკონომიკის მდგომარეობა მომავალში 1 ან 5-6 წლით ადრე ერთადერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოდელის ფუნქციონირებისათვის უნდა გავაკეთოთ დაშვებები, რომ ადამიანები, ორგანიზაციები და მთავრობა იმოქმედებს წინასწარ განსაზღვრული წესებითა და კანონებით. ასე რომ ხშირად მოდელზე მუშაობის შედეგად მიღებული დასკვნები კეთდება შემდეგი ტიპის – „ხელისუფლების პოლიტიკური კურსის უცვლელობის პირობით”. ყველაფრის მიუხედავად ეკონომიკური მოდელები წარმოადგენენ ეკონომიკის შემდგომი განვითარების სასარგებლო ინდიკატორს, განსაკუთრებით მოკლევადიანი პროგნოზების შედგენისას.

რამდენად შორს უნდა გასჭვრიტონ თრგანიზაციებმა მომავალი?—პასუხი დამოკიდებულია პრობლემის დასმაზე. დროის მონაკვეთს, რომლის განჭვრეტასაც ცდილობს ორგანიზაცია, დაგეგმვის პორიზონტი ეწოდება. ეს არის მომავლის დროის მონაკვეთი, რომლის განჭვრეტა- საც ცდილობს ორგანიზაცია ალბათობის მაღალი ხარისხით. პატარა მაღაზიებს აქვთ რამოდენიმე დღიანი დაგეგმვის პორიზონტი (მაგალითად, ბოსტნეულის მაღაზიაში დაგეგმვის პორიზონტი შეადგენს 24 საათს). ხოლო მსხვილ ფირმებს გააჩნიათ უფრო ფართო პორიზონტი. რაც უფრო დიდია ფირმა თრგანიზაციულად, მით უფრო ფართეა მისი პორიზონტი.

თრგანიზაციები, რომელთა მოქმედების სფერო საკმაოდ სტაბილურია, ხშირად თავს არ იწუხებენ შორეულ მომავალზე ფიქრით, (მაგალითად, სამშენებლო მასალების მწარმოებელი

ფირმები). მათ საპირისპიროდ, არსებობენ ისეთი კომპანიები, რომლებიც ძალიან მგრძნობიარედ პასუხობენ გარე ფაქტორების ცვლილებებს. მაგალითისთვის, სამკერვალო საწარმოები, ქალთა ტანსაცმლის მაღაზიები ძალზედ მგრძნობიარეა მოდისადმი. მეწარმეების ამ სფეროში საჭიროა წინასწარ ახალი მოდელების დაგეგმვა სეზონის დადგომამდე. მოდათა საშემოდგომო კოლექცია იგეგმება 18 თვით ადრე, ხოლო მაღაზიები 8 თვით ადრე უპავთავენ ამ დაგეგმილ ახალ მოდურ საქონელს.

ხშირად ნებისმიერი, თუნდაც ძალზე გულდასმით მიღებული გადაწყვეტილებაც არ იძლევა წარმატების გარანტიას შორეულ მომავალზე, რადგან შეიძლება მოულოდნელად თავი იჩინოს ისეთმა ფაქტორმა, რომელიც არსებით გავლენას მოახდენს დასახულ ამოცანაზე. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის დრო; მეტი გულისყურით, მივუდგეთ გადაწყვეტილების ვარიანტების შერჩევის პროცესს. ცნობილია, რომ 1940 წელს აშშ-ს ერთ-ერთმა ავიასამშენებლო კომპანიამ თავისი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის დროს დაუშვა შეცდომა, როდესაც კურსი ხრახნულ ძრავებზე აიღო, თუმცა მაშინ უკვე ზოგიერთი კომპანია იწყებდა რეაქტიულძრავიანი მანქანების წარმოებას.

ორგანიზაციებს შეუძლიათ მინიმუმამდე დაიუვანონ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე საშიშროება და ისარგებლონ არსებული შესაძლებლობებით თუკი მიჰყებიან პრინციპს – „**მომავლიდან აწმყოსაკენ და არა წარსულიდან მომავლისაკენ**“.

ყოველი ორგანიზაციის მოქმედების სფერო მუდმივად იცვლება, ხანდახან ეს ცვლილებები ორგანიზაციისათვის სასარგებლო და ხელსაყრელია, ხანდახან კი ემუქრება ორგანიზაციის მომავალს და საჭიროა მიღებული იქნას ზომები, რომ იგი არ ასცდეს არჩეულ კურსს. მენეჯმენტის სფეროში ამ კურსს სტრატეგია ეწოდება.

ლიტერატურა

1. ლუხუბაშვილი ნ. მენეჯმენტი ქუთაისის შპს “ხომლი ენ”-ის სტამბის საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი 2008 გვ. 256
2. მესტვირიშვილი გ. ბარათაშვილი ე. ჯავახაძე გ. მენეჯმენტის საფუძვლები. მე-2 განახლებული და შევსებული გამოცემა. თბილისი, 1997 წ.

ზაჟრ სერაფოვი

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

მუშა ჯგუფების ძცვების და ჰოზტორნის ესპერიმენტის შესახებ

ე ნ ე ვ ა რ ი მ ი რ ე ბ უ ლ ი

სამრეწველო ორგანიზაციებში ადამიანები არ იქცევიან, როგორც იზოლირებული ინდივიდები. ისინი ან ორგანიზებულნი არიან ჯგუფებში ფორმალური ნიშან-თვისებების მიხედვით, ან ოვითონ ქმნიან ჯგუფებს და შედეგად გავლენას ახდენენ ერთმანეთის ქცევაზე. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ამხანაგების შესახებ, რომლებიც ახდენენ კარგ თუ ცუდ გავლენას ერთმანეთზე. ეს არის მკაფიო აღიარება იმისა, რომ სხვასთან კავშირი გავლენას ახდენს ადამიანის პოზიციაზე, მის სურვილებზე და ქცევაზე. მუშა ჯგუფების ქცევები მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ნებისმიერ დონეზე. ადამიანური ურთიერთობის სკოლა ამტკიცებდა, რომ მუშების, დაბალი და მაღალი დონის ხელმძღვანელების ქმედება შეიძლება ადვილად იქნას გაგებული და წინასწარ განსაზღვრული მუშა ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის ანალიზის საფუძველზე.

ჯგუფი არსებობს, თუ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ რაიმე მიზნის მიღწევის პროცესში. საერთო მიზნის და ინტერესის გარეშე ჯგუფებს შორის კავშირი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, საშუალო კლასები არ ქმნიან ჯგუფებს მანამ, სანამ მათ ინტერესებს არ ემუქრება საშიშროება. მეორე მხრივ, პროფესიონები წარმოადგენენ ჯგუფს, რამდენადაც მის წევრებს წამო, რომ მათ აქვთ საერთო მიზნები და ინტერესები. განსაზუროებულ ინტერესს წარმოადგენს არა ისეთი მეორადი ჯგუფები, როგორიც პროფესიონებია, არამედ პირველადი ჯგუფები, ან ჯგუფები, რომელთა წევრებს აქვთ უფრო უშუალო კავშირი ერთმანეთთან. პრაქტიკაში პირველადი ჯგუფები შეუმნევლად გადადიან მეორადში.

მუშა ჯგუფებში ქცევების შესახებ ერთ-ერთი პირველი კვლევები ჩატარდა პოუტორნის ქარხანაში, რომელიც ეკუთვნილი “ვესტერნ ელექტრიკ K”-ს (ჩიკაგო, აშშ) მე-20 საუკუნის 20-ან -30-იან წლებში. თავდაპირველად, კვლევები ეხებოდა მუშების მწარმოებლობაზე ისეთი ფიზიკური ფაქტორების გავლენის შესწავლას, როგორიც არის განათება, ტემპერატურა სათავსოებში და მუშაობის გრაფიკი. სოციალური ფაქტორები, რომლებიც განიხილებოდა ფართო ზღვრებში, აღმოჩნდა ფიზიკურ ფაქტორებზე მნიშვნელოვანი. მაგალითად, რელეს წუნდებლების, ჩამხვევების და ამკრებების გამომუშავება იზომებოდა სხვადასხვა განათების დროს. წუნდებლების გამომუშავება იცვლებოდა, მაგრამ არა განათების ცვალებადობასთან დამოკიდებულებაში. მაგრამ, რელეს ჩამხვევების და ამკრებების გამომუშავება ნამდვილად გაიზარდა მას შემდეგ, რაც გაიზარდა განათების დონე, მაგრამ იგი არ შემცირდა მას შემდეგ, რაც განათება დაუბრუნდა საწყის მნიშვნელობას. როგორც შემდგომმა კვლევებმა აჩვენა, ელექტრონათურების უბრალოდ შეცვლამ, მისი სიკაშაშის გაზრდის გარეშე, გაზარდა გამომუშავება მკვლევარები, იმის ნაცვლად, რომ აღმოეჩინათ კავშირი ფიზიკურ ფაქტორებსა და მუშების მწარმოებლობას შორის, წააწყდნენ მოტივაციის სოციალური ფაქტორების მნიშვნელოვნობას – კომპანიამ გამოავლინა მზრუნველობა მუშაკებისადმი, მათ ამაზე მოახდინეს რეაგირება.

სოციალური ფსიქოლოგები საუბრობენ “პოუტორნის ეფექტის” შესახებ იმ შემთხვევების

აღნიშვნისათვის, როდესაც უშუალოდ დაკვირვება გამოსაკვლევებზე ან მათდამი ინტერესის გამოვლენა თავისთვის ამაღლებს მათ მწარმოებლობას.

იმისათვის, რომ გაუმჯობესებულიყო კონტროლის სისტემა, მკვლევარებმა პოუტორნის ქარხაში გამოყვეს ჩვეულებრივი ქვედანაყოფიდან მუშა ქალების მცირე ჯგუფი, რომელიც დასაქმებული იყო ტელეფონის რელეს აწყობაზე. ჯგუფი ასე შეიქმნა: ორ მეგობარ ქალს სთხოვეს შეერჩიათ კიდევ სამი ადამიანი. სოციალური კლიმატი ხელს უწყობდა მეგობრულ ურთიერთობას და ხისტ კონტროლზე უარი თქვეს. მუშაობის ისეთი პირობები, როგორიცაა შესვენების არსებობა, ანაზღაურების სისტემა – სისტემაბურად იცვლებოდა, მაგრამ მწარმოებლობა იზრდებოდა, მიუხედავად პირობების ასეთი ცვალებადობისა. გამოითქვა ვარაუდი, რომ გამომუშავების ზრდა დაკავშირებული იყო მატერიალური წახალისების სისტემის ცვალებადობასთან. ჯგუფს ანაზღაურება ეძლეოდა მწარმოებლობიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც ჯგუფის წევრების შრომის ანაზღაურება წინათ ხდებოდა მთელი საამქროს გამომუშავებიდან გამომდინარე, საამქროში კი ასობით ადამიანი იყო დასაქმებული.

ჩატარებული იქნა კიდევ ორი ექსპერიმენტი იმის შესამოწმებლად, ხომ არ არის გამომუშავების გადიდების მიზეზი მატერიალური წახალისების ცვლილების ხანგრძლივი გავლენა. პირველ ექსპერიმენტში შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი რელეს აწყობისათვის, რომელიც შედგებოდა ასევე ხუთი ქალისაგან. პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით ეს ჯგუფი დატოვებული იქნა საამქროს შემადგენლობაში, მაგრამ მათი შრომის ანაზღაურება ხდებოდა მხოლოდ ამ ჯგუფის გამომუშავების მიხედვით. მეორე ექსპერიმენტში შექმნილი იყო მესამე ჯგუფი, რომელიც ასრულებდა ქარსის დანაწევრების ოპერაციას. ეს ჯგუფი განთავსებული იყო ცალკე ოთახში. მისი მუშაობის პირობები იყო ისეთივე, როგორიც პირველი ჯგუფისათვის, გარდა იმ განსხვავებისა, რომ მესამე ჯგუფის წევრებს შრომის ანაზღაურებას აძლევდენ არა მათი გამომუშავების მიხედვით, არამედ მთელი საამქროს გამომუშავების მიხედვით. ექსპერიმენტების დროს მეორე ამკრებმა ჯგუფმა გამომუშავება გაზარდა 12%-ით, ხოლო ქარსის დამნაწევრებელმა ჯგუფმა -15%-ით. მართლია პირველმა ჯგუფმა გაზარდა გამომუშავება 30%-ით, დამტკიცდა, რომ ამ ჯგუფის მიერ გამომუშავების გაზრდა არ შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ მატერიალურ წახალისებას. ფრონტლისტერგერი პარვარდის უნივერსიტეტიდან და უდიკსონი “ვესტერნ ელექტრიკ”-იდან გამოვიდნენ იმის საწინააღმდეგოდ, რომ გამომუშავების ცვლილებები აიხსნას მატერიალური წახალისებებით იმდენად, რამდენადაც ექსპერიმენტებში წინასწარი განზრახვის გარეშე ჩართული იყო, მათი მოსაზრებით, მრავალი სოციალური ფაქტორი. ამრიგად, ანაზღაურების პროგრესულ სისტემაში ცვლილება არ იყო ერთად-ერთი ვარირებადი ფაქტორი. ფსიქოლოგი მ.ვაიტელსი ამაზე აკეთება შემდეგ კომენტარს:

“კერძოდ, ექსპერიმენტები არ აჩვენებს, რომ შესვენებები მუშაობაში და ხელფრასი არ წარმოადგენ დირებულებებს წარმოების სტიმულირებისათვის. უფრო მეტიც, ექსპერიმენტები ვერ ამართლებს ფირმის დასკვნას, რომ ეს პირობები (ან სხვა) ვერ შეძლებენ დამოუკიდებელი გავლენა იქონიონ ადამიანზე. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტებმა შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტებისადმი ყურადღების მიქვევაში, რომ პიროვნებათაშორისმა ურთიერთობებმა და სოციალურმა კლიმატმა შეიძლება შეცვალონ ასეთი წამქეზებლური მოტივების ზემოქმედება”.

“ამასთანავე, პოუტორნის ჯგუფის მკვლევარების თანახმად, სოციალური ხასიათის მოსაზრებებს გააჩნიათ მეტი წონა, ვიდრე ეკონომიკურ ფაქტორებს მუშის შეხედულებების და პოზიციის შემუშავებაში, და აქედან გამომდინარე, სამუშაო ვითარებით ადამიანის დაკმაყოფილების

თუ დაუკმაყოფილებლობის ბუნების განსაზღვრაში. მხარესი განზოგადოება შეიძლება გამოიწვიოს უთანხმოებამ, განსაკუთრებით, თუ იგულისხმება, რომ მატერიალურმა სტიმულირებამ არ შეიძლება გავლენა იქონიოს გამომუშავებაზე პიდაპირ და სხვა ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად. როგორც წინათ იყო ნავარაუდევი, პოუტორნში ჩატარებული კვლევების მონაცემები, რომლებიც ინტერპრეტირებული იყო როგორც ჯგუფური გავლენის უფექტის აღმოჩენა, შეიძლება აიხსნას ანაზღაურების სისტემის ცვლილების სრულიად განსაზღვრული გავლენით. ცხადია, არ შეიძლება დავეთანხმოთ მათ, ვინც პოუტორნში ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე თვლის, რომ წახალისების ზომა მუშას აინტერესებს არა უმეტეს იმისა, როგორც მისი სამუშაოს სოციალური მნიშვნელობის სიმბოლო და რომ მუშა, ჩვეულებრივ, მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესებას არ პასუხობს მწარმოებლობის გადიდებით”.

მეორე მნიშვნელოვან გამოკვლევაში, რომელიც ჩატარდა პოუტორნში, შეისწავლებოდა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 14 კვლიფიცირებული ოპერატორისაგან (მამაკაცები), რომლებიც დასაქმებული იყენებ რელეს ჩახვევაზე. დაკავირვების მოხერხებულობის მიზნით ჯგუფი განათავსეს განცალკევებულ ოთახში. 14 ოპერატორიდან 9 ოპერატორი დასაქმებული იყო ჩახვევით, 3 – შეერთებების მიხრჩილვით, 2 - კი ამოწმებდა მზა ნაწარმის ხარისხს. ბრიგადა შედგებოდა 3 ჩამხვევის და 1 მჩრჩილავისაგან. ჯგუფი იცავდა ქცევის გარკვეულ საერთო თარგებს, რომელიც არ ემთხვევოდა ოფიციალურად დადგენილ წესებს. ეს ზღუდავდა გამომუშავებას, მიუხედავად მატერიალური სტიმულის არსებობისა. ამ დროს კომპანიის მიერ დადგენილი წესებისა და სტანდარტების ნაცვლად ხშირად მოქმედებდა ჯგუფის მიერ შედგენილი წესები და ნორმები და ჯგუფის წევრები მხარს უჭერდნენ ამ უკანასკნელ წესებს და ნორმებს. ჯგუფში სოციალური ფაქტორები იყო გამომუშავების განმსაზღვრელი; ჯგუფი წარმოადგენდა თავისებურ არაფორმალურ თრგანიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ მუშებს შორის ჩამოყალიბებულმა არაფორმალურმა ურთიერთობებმა ჩამოაყალიბა ჯგუფის მართვის თრგანიზაციული თარგი. ჯგუფური ნორმების აგტორიტენტის შენარჩუნება ხდებოდა მორალური ზემოქმედების საშუალებით, აუცილებლობის შემთხვევაში – ძალის გამოყენებითაც. მაგალითად, მათ, ვინც მუშაობდა გულმოდგინედ, ზედმეტსახელად უწოდებდნენ “სიჩქარის სასწაულს” ან “სიჩქარის მეფეს”; ყველა, ვისი გამომუშავებაც იყო ჯგუფურ სტანდარტზე დაბალი, იყო “მაჩანჩალა”. ჯგუფი დაიყო ორ ბანაკად, თუმცა ორივე ბანაკი გაერთიანებული იყო ჯგუფური ნორმის შენარჩუნებისათვის. ყველი ბანაკის წევრები განსხვავდებოდნენ სტატუსის მიხედვით; ჩამხვევებს ეკავათ უფრო მაღალი მდგომარეობა, ვიდრე მჩრჩილავებს, თუმცა ანაზღაურება პქონდათ ერთნაირი. ამრიგად, ჯგუფს გააჩნდა რთული არაფორმალური სოციალური სტრუქტურა, რომელიც წარმოიშვა ადმინისტრაციის ჩარევის გარეშე.

დასკვნები, რომელიც გაკეთდა პოუტორნის გამოკვლევების საფუძველზე, ზოგადად მდგომარეობს შემდეგ ში:

1. მუშის გამომუშავება განისაზღვრება უფრო ჯგუფური ნორმებით, ვიდრე მისი ფიზიკური შესაძლებლობებით. ყველა ნორმა, რომლებიც ახასიათებს ადამიანის ქმედების ან პოზიციის გარკვეულ სტანდარტებს, შენარჩუნებულია ჯგუფური სანქციებით. ეს დაუწერებლი წესები (ან ნორმები) ვითარდება როგორც ჯგუფში ურთიერთობის მართვის მეთოდი და განვითარების პროცესში სახეს უცვლის ფორმალურ თრგანიზაციას თუმცა, ყოველთვის არ უპირისპირდება მას. E

ასეთი ნორმები წარმოადგენს არაფორმალური თრგანიზაციის ნაწილს, ანუ იმ ქმედების ელემენტების ნაწილს, რომლებიც არ იყო დადგენილი ადმინისტრაციის მიერ, ან არ იყო მხ-

არდაჭვერილი დიად. ეს არაფორმალური სისტემა არ იქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს პიროვნების ის მოთხოვნები, რომლებიც არ იყო დაკმაყოფილებული ფორმალური ორგანიზაციის მიერ; იგი შეიძლება წარმოიქმნას აგრეთვე ოფიციალურად დადგენილ პროცესებში და პროცედურებში ნაკლის კომპენსაციისათვის. გარდაქმნების დროს ფორმალურ ორგანიზაციის შეიძლება არ აღმოაჩნდეს უნარი რეაგირება მოახდინოს ცვლად პირობებზე, და ხელმძღვანელი მუშაკები, ისევე, როგორც მუშები, იძულებული გახდნენ გამოვიდნენ ფორმალური სისტემის სახლვრებიდან იმისათვის, რომ იმოქმედონ ვითარების შესაბამისად.

2. მუშები ხშირად მოქმედებენ, ან დებულობენ გადაწყვეტილებებს, როგორც ჯგუფის წევრები, ვიდრე როგორც ინდივიდები. მათი ქმედება ხშირ შემთხვევაში განპირობებულია ჯგუფური ნორმებით. ჯგუფის ვერც ერთი წევრი ვერ შეძლებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში პქონდეს ურთიერთობა ჯგუფთან, თუ იგი თავის მოქმედებას არ მოარგებს ჯგუფურ ნორმებს. ზოგიერთი ჯგუფური სტანდარტები, ჩვევები ან ნორმები ფორმალურად არის მიღებული, მაგრამ ბევრი მათგანი რჩება როგორც დაუწერელი. არსებობს ბევრი რამ, რომელიც არ აირეკლება კლუბის წესებში, მათ იქ უბრალოდ “არ აკეთებენ”. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან დაემორჩილონ ქმედების ასეთ წესებს, თუ სურთ, რომ ისინი აღიარონ ჯგუფის წევრებად; ისინი ან აკეთებენ ისე, როგორც ყველა, ან უბრალოდ მიღიან ჯგუფიდან. პრაქტიკაში ჯგუფის ჩვევებს აღიარებენ ახალი წევრები, თუ მათ სურთ დაემორჩილონ უმრავლესობას და გახდნენ ჯგუფის წევრები. ჯგუფის ყოველი ახალი წევრის ნებისმიერი ქმედება ძლიერდება ან სუსტდება იმის მიხედვით, თუ ჯგუფის დანარჩენი წევრები როგორი ხარისხით აღმოუჩენენ მათ მხარდაჭერას.

3. არაფორმალური ლიდერების მნიშვნელობა ჯგუფის მიზნების მიღწევაში, ჯგუფური ნორმების დადგენასა და შენარჩუნებაში. როდესაც ადამიანი ახდენს გაცილებით მეტ გავლენას თავის კოლეგებზე, ვიდრე ისინი მასზე, ამბობენ, რომ იგი ანხორციელებს ლიდერობას. მუშა ჯგუფის ლიდერი – ეს არის ადამიანი, ვისი საქმიანობაც უმეტეს წილად ემთხვევა ჯგუფის ნორმებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Roethlisberger F. J., and Dickson W. J. Management and the Worker. Cambridge. Mass., Harvard University Press, 1939.
2. Viteles M. S. Motivation & Morale in industry. London, Staples Press, 1953.
3. Homans G. C. The Human Group. New York Harcourt Brace Jovanovich. 1950.

ეპივერ ბარათაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი

მანანა მარილაშვილი


სტუ-ს დოქტორანტი, უფროსი მასწავლებელი

ირმა მასარაშვილი

გაგასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

თანამედროვე მეცნიერების პრიტერიუმების საკითხისათვის

კომერციული ორგანიზაციები, ისევე როგორც სახელმწიფო სექტორის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი მომსახურების ინსტიტუტები სოციალურ ორგანოებს წარმოადგენენ. ისინი არსებობენ საზოგადოების, ადგილობრივი თემისა და ინდივიდუმის განსაზღვრული მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად. ინსტიტუტები მიზანი კი არ საშუალებაა. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ასეთი კითხვის დასმა: რის შესრულება ევალებათ მათ და როგორია მათი ამოცანები? მენეჯმენტი თავის მხრივ ინსტიტუტის ორგანოა. ამასთან დაკავშირებით ისმება კითხვა: რა არის მენეჯმენტი? დასაწყისისათვის მენეჯმენტი განვსაზღვროთ მის მიერ გადაჭრილი ამოცანების მიხედვით.



ბიზნესის მართვას ვერ ჩავთვლით საკმრისად ეფექტურად, თუ მას არ შეუძლია უზრუნველყოს მომხმარებლისათვის საქონლისა და მომსახურების მიწოდება ისეთ ფასად, რომლის გადახდაზე თანახმა მომხმარებელი. თუ მენეჯმენტი არ ამაღლებს ან უკიდურეს შემთხვევაში ვერ ინარჩუნებს სტაბილურ დონეზე ინსტიტუტის უნარს შექმნას სიმდიდრე არსებული ეკონომიკური რესურსების სწორად გამოყენების პირობებში, მაშინ მას წარმატებულად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. ეს კი თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურისაგან ან საზოგადოების იდეოლოგიისაგან დამოუკიდებლად მენეჯმენტს აქვს პასუხისმგებლობა მომგებიანობაზე.

ბიზნესის მენეჯმენტს აქვს ერთი საერთო თვისება ნებისმიერი სხვა ინსტიტუტის მენეჯმენტი: მან უნდა მართოს. ეს მხოლოდ შეგუებულის პასიური ქმედება არ უნდა იყოს. მენეჯერმა უნდა იმოქმედოს და მიაღწიოს კიდევ დასახულ მიზნებს. პირველად ეკონომისტები თვლიდნენ, რომ ბიზნესმენის ქმედება მხოლოდ და მხოლოდ პასიური შეიძლება იყოს. ბიზნესში წარმატება ნიშნავდა სწორ და გააზრებულ ადაპტაციას მოვლენებთან, რომლებიც ეკონომიკაში ხდებოდა იმ ობიექტური ძალების ზეგავლენით, რომლის გაკონტროლებაც არ შეეძლო ბიზნესმენს. ამ მოვლენას შეგვიძლია „ვაჭრის“ კონცეფცია ვუწოდოთ. მას პარაზიტად არ თვლიდნენ, მაგრამ მის მიერ წარმატებაში შეტანილ წვლილს მიიჩნევდნენ როგორც მექანიკურს, ე.ი. მიიჩნევდნ, რომ რესურსები გადანაწილდებოდა მისი უფრო ეფექტური გამოყენებისათვის. თანამედროვე ეკონომისტები თვლიან, რომ ბიზნესმენი აკეთებს რაციონალურ არჩევანს მოქმედების სხვადასხვა ვარიანტს შორის. ეს მექანიკური კონცეფცია აღარ არის, ვინაიდან აშკარაა, რომ მოცემული არჩევანი გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. მაგრამ მაინც ეკონომისტის წარმოდგენაში ბიზნესმენი, ე.ი.სახე, რომელიც ჩადებულია ეკონომიკაში პრევა-

ლირებულ თეორიებში „ფირმის თეორია“ და „მოგების მაქსიმიზაცია“, მხოლოდ და მხოლოდ რეაგირებს ეკონომიკის ცვლილებებზე.

ეს ბიზნესმენი კვლავინდებურად აასიურია, ძველებურად შემგუებელია, თუმცა აქვს არჩევანის უცლება შეგუების რამდენიმე ვარიანტს შორის. არსებითად, ეს უფრო „ინვესტორის“ ან „ფინანსისტის“ ცნებაა, ვიდრე მენეჯერის. რა თქმა უნდა ყოველთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებთან სწრაფად და რაციონალურად ადაპტაცია, მაგრამ მართვა გულისხმობს ეკონომიკური გარემოს ფორმირებზე, დაგეგმვაზე, ამ სფეროში ცვლილებების განხორციელებაზე, ბარიერების გადალახვაზე პასუხისმგებლობის აღებას. ის, რაც შესაძლებელია, ე.ი. ეკონომიკისტის ეკონომიკური პირობები, სინამდვილეში ბიზნესის მართვის მხოლოდ ერთი პოლუსია. მეორე პოლუსია ის, რაც სასურველია ეკონომიკისა და საწარმოს ინტერესებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ კაცობრიობა ვერასოდეს შეძლებს მთლიანად დაიპყროს გარემო, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში ვიმყოფებით, მენეჯმენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა მდგრადი მოვლენის იმაში, რომ სასურველი გარდაქმნას ჯერ შესაძლებლად, ხოლო შემდეგ მოქმედად.

უნარი, რომლის დახმარებითაც ხდება დასაქმებულთა ორიენტირება მაღალი მიღწევების მოსაპოვებლად, ნებისმიერი ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტურობის კრიტერიუმად და შესაბამისად, მენეჯმენტის მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება. სამუშაოს ორგანიზება მისი საკუთარი ლოგიკური პრინციპების გათვალისწინებით მხოლოდ პირველი ეტაპია. მეორე, გაცილებით უფრო რთული ეტაპი მდგრადი მოვლენის იმაში, რომ მოახდინოს ადამიანის შეგუება შრომასთან. ადამიანის ლოგიკა შრომის ლოგიკისაგან რადიკალურად განსხვავდება. იმისათვის, რომ დასაქმებული ორიენტირებული იქნას მიღწევებზე, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც გააჩნია სპეციფიკური ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ნიშან - თვისებები, შესაძლებლობები და შეზღუდვები.

საწარმოს უნდა შეეძლოს ააწყოს ისეთი წარმოება, რომელსაც უფრო მეტი პროდუქციის გამოშვება შეუძლია, ვიდრე მასში შემავალ ცალკეულ ელემენტებს. ის ერთ მთლიანს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, საწარმო ვერ იქნება რესურსების მხოლოდ მექანიკური ნაკრები. რესურსებისაგან რომ შეიქმნას საწარმო, ამისათვის საკმარისი არ იქნება რესურსების დაწყობა ლოგიკური თანმიმდევრობით და შემდეგ მისთვის კაპიტალის დამატება, როგორც ამას მე-19 საუგუნის ეკონომიკისტები თვლიდნენ. საჭიროა რესურსების შეცვლა, რათა ისინი უფრო პროდუქტიული გახდნენ. ამისათვის კი მენეჯმენტია საჭირო. აშკარაა, რომ რესურსები, რომლებიც შეიძლება განვითაროთ, მხოლოდ კადრები შეიძლება ამონდნენ. სხვა დანარჩენი რესურსის სახეები მექანიკის კანონებს ემორჩილება. ისინი შეიძლება უკეთესად ან უარესად გამოვიყენოთ, მაგრამ არასოდეს მოგვცემენ იმაზე უკეთეს შედეგს, ვიდრე კომპონენტთა ჯამია. ადამიანი ერთადერთია ყველა რესურსებიდან, რომლებსაც შეუძლიათ გაიზარდოს და განვითარდეს. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ზრდა და განვითარება, ვგულისხმობით, რომ ადამიანი თვალი განსაზღვრავს, რა წვლილს შეიტანს საერთო საქმეში.

ჩვენ შევეხვიეთ, რომ რიგითი თანამშრომლები, მენეჯერებისაგან განსხვავებით, აღვიძვათ ადამიანებად, რომლებიც აკეთებენ იმას, რასაც უბრძანებენ და ამასთან არავითარ პასუხისმგებლობა არ აკისრიათ და არ იღებენ მონაწილეობას იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც უშეალოდ მათ სამუშაოს შეეხება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ განვიხილავთ თანამშრომლებს იმავე კუთხით, როგორც სხვა მატერიალურ რესურსებს. ხოლო რაც შეეხება მათ მიერ საწარმოში შეტანილ წვლილს, ის ჩვენი აზრით მექანიკის კანონებს ემსახურება. ეს სერიოზული

შეცდომაა, მაგრამ ის ძირითადად იმაღლება არა რიგითი თანამშრომლის მუშაობის განსაზღვრებაში, არამედ იმის გაგების შეუძლებლობაში, რომ რიგით სამუშაოსაც აქვს პოტენციალი გახდეს მართვითი და შესაბამისად უფრო მწარმოებლური.

მენეჯმენტის წეალობით კადრები იძენენ ზრდისა და განვითარების უნარს და შეაქვთ თავისი წვლილი მუშაობის შედეგში. ჩვენ ვსაუბრობთ ორგანიზაციაზე, ე.ი.საწარმოს ფორმალურ სტრუქტურაზე, მაგრამ სინამდვილეში მხედველობაში გვაქვს მენეჯერების თრგანიზაცია და ფუნქციები, რომლებსაც ისინი ასრულებენ. რიგითი თანამშრომლები არ წარმოადგენენ ორგანიზაციული სტრუქტურის საუმჯობესოს. ჩვენ ვსაუბრობთ ლიდერობასა და ორგანიზაციის სულზე. მაგრამ ლიდერობას მენეჯერები ახორციელებენ და ლიდერობა იქნება ეფექტური მხოლოდ მენეჯმენტის ჩარჩოებში, ხოლო ორგანიზაციის სული ყალიბდება მმართველი გუნდის საფუძველზე.

ჩვენ ვსაუბრობთ კომპანიის ამოცანებზე მისი მუშაობის ხარისხზე. მაგრამ კომპანიის ამოცანები მენეჯმენტის მიზანია, ხოლო საწარმოს მუშაობის ხარისხი მენეჯმენტის მუშაობის ხარისხია. თუ საწარმო ვერ აღწევს წარმატებას, კომპანიის თანამშრომლები კი არა დირექტორი უნდა შეიცვალოს.

მენეჯმენტის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მართვა მოხდეს ინსტიტუტის საზოგადოებაზე ზეგავლენის გზით და მისი სოციალური პასუხისმგებლობით. არც ერთი ჩვენი ინსტიტუტი არ არსებობს თავისთვავად და თვითმიზნად არ ითვლება. თითოეული ინსტიტუტი სოციალური ორგანოა და არსებობს საზოგადოებისათვის და მისი ინტერესების გასატარებლად. არ არის გამონაკლისი ბიზნეს სექტორიც. თავისუფალი მეწარმეობა მოგებიანი უნდა იყოს არა მხოლოდ ბიზნესისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც უნდა მოჰქონდეს სარგებელი.

ნებისმიერი თანამედროვე ინსტიტუტი მიმართულია იქითკენ, რომ სასარგებლო იყოს გარე სამყაროსათვის, უზრუნველყოს და დააკმაყოფილოს ისინი, ვინც ინსტიტუტს არ მიეკუთვნებიან. ბიზნესი არსებობს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მომხმარებლები საქონლითა და მომსახურებით, რომ მისცეს სამუშაო ადგილები თანამშრომელებსა და მენეჯერებს ან მოუტანოს დივიდენდები აქციონერებს. საავადმყოფო პაციენტებისათვის არსებობს და არა იმისათვის, რომ ექიმებსა და სანიტრებს სამუშაო ადგილები შეუქმნას. უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლების მატერიალური კეთილდღეობისათვის კი არა, არამედ სტუდენტთა სწავლებისათვის არსებობს. თუ მენეჯმენტი ამის შესახებ დაივიწყებს, ის ცუდი მენეჯმენტი იქნება.

ასრულებს რა თავის ფუნქციას, ანუ აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, კომერციული საწარმო გავლენას ახდენს ადამიანებზე, ადგილობრივ საზოგადოებაზე და საერთოდ, მთელს საზოგადოებაზე. მას ძალაუფლება უნდა ჰქონდეს თავის ხალხზე, ე.ი.დაქიარვებულ მუშახელზე, რომელთა საბოლოო მიზნები არ შემოიფარგლება ინსტიტუტის ჩარჩოებით. ერთი მხრივ, მან უნდა მოახდინოს გავლენა ადგილობრივ ორგანიზაციაზე, როგორც მისმა ერთ-ერთმა წევრმა, როგორც სამუშაო ადგილების შემქმნელმა და გადასახადების გადამხდელმა, ხოლო მეორე მხრივ, მას არ შეუძლია არ ქონდეს უარყოფითი ზეგავლენა, როგორც სამრეწველო ნარჩენების წყაროსა და გარემოს დამბინძურებელს. ამას გარდა, ჩვენს პლურალურ საზოგადოებაში ორგანიზაციები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ თანამედროვე ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების რაოდენობრივ (საქონელი და მომსახურება) და ხარისხობრივ (ფიზიკური, ბუნებრივი და სოციალური გარემო) მხარეებზე.

ეველა ზემოთ ხსენებული ამოცანა უნდა სრულდებოდეს მენეჯერის პროფესიული საქმიანობის ჩარჩოებში და თანაც მუდმივად. არ შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ეს ამოცანა

უფრო მნიშვნელოვანია ან უფრო მეტ კვალიფიკაციას ან კომპეტენციას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ბიზნესში ეკონომიკური ეფექტურობა პირველ ადგილზეა, იმიტომ, რომ ეს ბიზნეს-ორგანიზაციის მთავარი მიზანია. ეკონომიკური ეფექტურობა არის ის, რისთვისაც ბიზნეს-ორგანიზაცია იქმნება. მაგრამ თუ სამუშაო და თანამშრომელები ცუდად იმართება, ვერარნაირ ეფექტურობაზე ვერ იქნება ლაპარაკი, იმის მიუხედავად, რამდენად კომპეტენტურია ტოპ-მენეჯერი ბიზნესის მართვის საკითხებში.

ეკონომიკური ეფექტურობა შრომისა და ადამიანური რესურსების არასათანადო მართვის დროს იღუზიურია და დესტრუქციულია კაპიტალისათვის დროის შედარებით მოკლე პერიოდში. ასეთ სიტუაციას მივყავარო გაზრდილ ხარჯებთან იმ დონემდე, რომელზეც საწარმო კონკურენტუნარიანი ვალიარ იქნება. საბოლოო ჯამში კლასობრივი სიძულვილისა და უთანასწორობის გამო ორგანიზაცია საერთოდ ვერ შეძლებს ნორმალურად მუშაობას. თუ ინსტიტუტში არასაკმარისად ეფექტურად მართავენ ხალხზე ზეგავლენას, მაშინ საზოგადოება მის მხარდაჭერაზე უარს იტყვის. არსებითად, მენეჯმენტის ზემოთ ხსენებული სამი ამოცანიდან, თითოეული მათგანი თავისებურად პრიორიტეტულია.

ბიზნესის მართვა პრიოტიტეტულია, იმიტომ რომ საწარმო ეკონომიკური ინსტიტუტია, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა და თანამშრომლის ორიენტაცია მაღალ მიღწევებზე ძალიან მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ საზოგადოება ეკონომიკური ინსტიტუტი არ არის და ელის მენეჯმენტისაგან თავისი რწმენისა და ფასეულობების ხორცშესხმას. ინსტიტუტის საზოგადოებაზე გავლენის მართვა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც არც ერთ ცალკეულ ორგანოს არ შეუძლია იმაზე დიდხანს იცხოვოს, ვიდრე იმ მთლიანს, რომელსაც ის ეკუვნის, ინსტიტუტი კი არის ადგილობრივი საზოგადოებისა და ზოგადად მთელი საზოგადოების ორგანო.

მენეჯმენტმა ყოველთვის უნდა შეაფასოს მომავალიც და აწმეოც, როგორც მოკლევადიანი და ასევე გრძელვადიანი თვალსაზრისით. მენეჯმენტის ამოცანას ვერ დაგარქმევთ შესრულებულს, თუ იგი მიღწეულია „ჯანმრთელობის“ გაუარესების ან კომპანიის გრძელვადიან პერიოდში გადარჩენის ხარჯზე. მენეჯმენტის გადაწყვეტილება უპასუხისმგებლი იქნება, თუ ის დაკავშირებულია დღევანდელ სერიოზულ რისკთან გრანდიოზული მომავლის იმედით. ძალიან გავრცელებული სიტუაციაა, როდესაც ბრწყინვალე მენეჯერი, რომელიც კომპანიის შესანიშნავი ეკონომიკურ შედეგებს უზრუნველყოფს, მიდის და ტოვებს ჩასაძირად განწირულ გეგმებს. ეს არის აშკარა მაგალითი უპასუხისმგებლობის მართვისა და აგრეთვე მენეჯმენტის უუნარობისა დააბალანსოს აწმეოც და მომავალი. მყისიერი ეკონომიკური შედეგები იღუზიურია და როგორც წესი, მიიღწევა კაპიტალის არასერიოზული და გაუმართლებლად მაღალი ხარჯვით. თითოეულ სიტუაციაში, როდესაც არ არის გათვალისწინებული აწმეოსა და მომავლის მოთხოვნები, როდესაც მათი საჭიროებები არ არის პარმონიული ან დაბალანსებული მაინც, ადგება სერიოზული ზიანი კაპიტალს, ანუ რესურსს, რომელიც კომპანიის სიმდიდრეს ჰქმინს.

არსებობს ორი მიზეზი, რომლის გამოც დროის ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მენეჯერისათვის და ძალიან ურთეულებს მას ცხოვრებას. ერთის მხრივ, თვითონ ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი მიღებული გადაწყვეტილების ხარისხს და შესაბამისობას დრო ამოწმებს. მე-19 საუკუნის ათიან წლებში ედისონს დასჭირდა ორი წელი, რომ გადასულიყო კვლევითი სამუშაოებიდან ექსპერიმენტულ ფაბრიკაში. დღეს ედისონის მიდღვვრებს ამისათვის თხუთმეტი წელი დასჭირდებოდათ. ხოლო იმისათვის, რომ შეიქმნას რაიმე ორგანიზაცია, მაგალითად, გასაღების სამსახური ან მმართ-

ველი გუნდი, უფრო დიდი დროა საჭირო.

დროის კატეგორიის მეორე თავისებურება მდგრმარეობს იმაში, რომ მენეჯმენტი, ასპექტების უმრავლესობისაგან განსხვავებით უნდა არსებობდეს აწყობიც და მომავალშიც. მენეჯერი უნდა ზრუნავდეს ინსტიტუტის ეფექტურობაზე დღეს, რომ მისმა კომპანიამ შეძლოს წარმატებით მუშაობა ხვალ. მან უნდა გადააქციოს წარმოება ეფექტურად და მისცეს ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა მომავალში. თუ ის ამას არ აკეთებს, მაშინ ანგრევს კაპიტალს, ე.ი. ამცირებს რესურსების უნარს, აწარმოონ სიმდიდრე ხვალ. მენეჯერისათვის მომავალი უწყვეტობის არარსებობაა, მაგრამ მომავალს, როგორიც არ უნდა იყოს ის, მხოლოდ აწყობს გავლით მივადგებით. დროის ფაქტორი აქცევს მენეჯერის გადაწყვეტილებას სპეციფიკურად. ნებისმიერი მენეჯერი დაკავებულ უნდა იყოს ადმინისტრაციული საქმიანობით, ე.ი. მართვდეს და სრულყოფდეს იმას, რაც უკვე არის. მაგრამ არსებობს მენეჯერის საქმიანობის კიდევ ერთი კრიტერიუმი. ამას გარდა ის მეწარმეც უნდა იყოს მან უნდა გაანაწილოს რესურსები, გადაიტანოს ისინი არამომგებიანი სფეროებიდან ისეთ სფეროებში, რომლების მაღალ და ზრდად შედეგებს უზრუნველყოფენ. მან უნდა შექმნას ხვალინდელი დღე. დღეისათვის არსებობს განსაზღვრული ბაზრები, ტექნოლოგიები, საქონელი და მომსახურება, საწარმოო სიმძლავრეები და აღჭურვილობა, კაპიტალი, რომელიც ადრე იყო ჩადებული და ახლა მომსახურება ესჭიროება, ადამიანები, რომლებიც დაქირავებული იყვნენ და ა.შ. მენეჯერის ადმინისტრაციული ფუნქცია მდგრმარეობს იმაში, რომ ყველა ამ რესურსი გამოყენებით მოახდინოს შედეგების ოპტიმიზაცია. ამას, როგორც ეკონომისტები გვარწმუნებენ, ითვალისწინებს შედეგიანობა, ე.ი. იმის უნარი, რომ გააკეთო უკეთესად, ვიდრე მანამდე აკეთდებდი. ეს ნიშნავს უურადღების გამახვილებას ხარჯებზე. მაგრამ ოპტიმიზაცია დაფუძნებულ უნდა იყოს ეფექტურობაზე. მისი აქცენტი გამახვილებულია შემოსავლის მიღების, ახალი ბაზრების შექმნის, არსებული ბაზრებისა და პროდუქციის ეკონომიკური პირობების შეცვლის უნარზე. მოცემულ შემთხვევაში საკითხი მდგრმარეობს არა იმაში, როგორ შევძლოთ ეს უკეთესად, არამედ იმაში რომელ პროდუქტებს მოაქვთ ან შეეძლოთ მოეტანათ განსაკუთრებული ეკონომიკური შედეგები. როგორ უნდა გადავანაწილოთ რესურსები და ძალისხმევა, რომ მათ მოგვიტანონ განსაკუთრებით მაღალი და არა ნორმალური, ორდინარული შედეგები? ეს სულაც არ ამცირებს შედეგიანობის მნიშვნელობას.

ყველაზე ჯანმრთელი და მაღალეფებული ბიზნესიც კი შეიძლება დაიღუპოს, თუ მისი შედეგიანობა დაბალი იქნება. მეორე მხრივ, ყველაზე შედეგიანი კომპანიაც კი ვერ გადარჩება, არ არის უკვე ლაპარაკი წარმატების მიღწევაზე, თუ ის ეფექტურია არა იმ სფეროებში, რომლებშიც საჭიროა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვაოთ თუ ის არაეფექტურად მუშაობს. ეფექტურობა წარმატების საწინდარია, ხოლო შედეგიანობა ინსტიტუტის გადარჩენის მინიმალური პირობაა წარმატების მიღწევის შემდეგ. შედეგიანობა არის საქმის სწორად კეთების უნარი, ხოლო ეფექტურობა სწორი საქმის კეთების უნარი. შედეგიანობა ითვალისწინებს საქმიანობის ყველა სფეროში ადგენგატური ძალისხმევის გამოჩენას. ეფექტურობა იწყება იმის გაგებით, რომ ბიზნესში, როგორც საზოგადოების სხვა ნებისმიერ ორგანოში, მოვლენების 10-15%, როგორიცაა მაგალითად პროდუქტი, შეკვეთები, კლიენტები, ბაზრები და ადამიანები, წარმოქმნის საბოლოო შედეგების 80-90%-ს. მოვლენათა დანარჩენი 85-90%, იმის მიუხედავად, რამდენად ეფექტურად იმარტებიან ისინი, არაფერს არ ქმნიან ხარჯების გარდა. მენეჯერის, როგორც ადმინისტრატორის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს რომ შედეგის მომცემი გახადოს ორგანიზაციის საქმიანობის ის მცირე ზომის ძირითადი ბირთვი, რომელსა შეუძლია იყოს შედეგიანი. ამავე

დროს მენეჯერი ანეიტრალებს (თუ სრულიად არ უგულებელყოფს) სხვა ოპერაციების დიდ ხაწილს: კვლევით სამუშაოს, გასაღების ღონისძიებებს, რომლებიც რა ხარისხიანიც არ უნდა იყოს, არ მოაქვთ განსაკუთრებული შედეგები.

მენეჯმენტის მეორე ადმინისტრაციული ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მუდმივად, თუნდაც მცირდით მიუახლოვოს ბიზნესი მისი პოტენციალის სრულ რეალიზაციას. ყველაზე წარმატებული ბიზნესსაც კი გააჩნია რეალური მწარმოებლურების მის მთელ პოტენციალთან შეფარდების საკმაოდ დაბალი კოეფიციენტი. პოტენციალი ეკონომიკური შედეგია, რომელიც შეიძლება მიღწეულიყო, თუ ძალისხმევა და რესურსები ოპტიმალურად იქნებოდნენ გადანაწილებული მაქსიმალური შესაძლებელი შედეგის მისაღებად. ეს ამოცანა ახალი არ არის. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ბიზნესის საქმეების დღვანდელი მდგომარეობა.

საინტერესოა, რა არის მისთვის თეორიულად ოპტიმალური? რა უშლის ხელს ამ სასურველი პირობების მიღწევას? რა ბარიერები და ხელისშემწლელი ფაქტორებია, რომელიც აკავებს ბიზნესს და არ აძლევს მას საშუალებას მიიღოს სრული უკუგება თავისი რესურსებისა და ძალისხმევის გამოყენების შედეგად?

ამავე დროს ნებისმიერი მენეჯერის სამუშაო, პირველ რიგში, ითვალისწინებს სამეწარმეო საქმიანობას და სახელდობრ, ხვალინდელი ბიზნესის შექმნას. მეწარმეობა განუყოფლად არის დაკავშირებული ინვაციის ამოცანასთან. ხვალინდელი ბიზნესის შექმნა ეფუძნება იმ წინაპირობას, რომ ის უნდა იყოს და იქნება კიდევ არა ისეთი, როგორიც დღეს არის, მაგრამ ამისათვის მუშაობა დღესვევე უნდა დაიწყოს.

“ხვალინდელი დღის” ბიზნესის შექმნა არასოდეს არის გენიოსის მომენტალური გამონათების შედეგი. მას სჭირდება მძიმე, სისტემატური და აუცილებელი მუშაობა დღეს. ეს ნიშნავს, რომ მომავალს ქმნიან ადამიანები, რომლებიც დღევანდელ ბიზნესში მუშაობენ. ამბობენ, რომ წარმატება მუდმივი არა არის. ბოლოსდაბოლოს, ბიზნესი სხვა რაფერია, თუ არა ადამიანის ქმნილება და არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იცხოვოს სამუდამოდ. ყველაზე ძველი კომპანიაც კი ას წელზე ცოტა მეტი ხნით ადრე შეიქმნა. მაგრამ იმისათვის, რომ შეიგანოს მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში, კომერციული ორგანიზაცია უნდა არსებობდეს არა ერთი ადამიანის ან თაობების სიცოცხლის მანძილზე, არამედ უფრო ხანგრძლივადაც. ბიზნესის არსებობის ხანგრძლივობა მენეჯერის ერთ ერთი მთავარი ამოცანაა, რომელიც მის სამეწარმეო საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ბიზნესის ხანგრძლივი არსებობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი საიმედო და თვალსაჩინო გამოცდაა მენეჯმენტისათვის.

ლიტერატურა:

1. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors by Michael E. Porter 1980
2. The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Change by Stephen R. Covey 2010
3. Effective Management Decision Making by Ian Pownall 2011
4. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28804,2086680_2086683_2087656,00.html
5. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html
6. www.forbes.com/management

ვაშა გურაბაანიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

კონფლიქტური სიტუაციების მეცნიერება



კონფლიქტი ჩვენი ცხოვრების განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ადამი და ევა სამოხიდან გამოაძევეს, კონფლიქტი ადამიანთა მოდგმის მუდმივი თანამდევი გახდა. იბადება და ქრება ცივილიზაციები, იცვლება წყობილება, მაგრამ არ ნელდება დაპირისპირება. ადამიანები ყოველდღიურად დგებიან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე და ხშირად წარმატებითაც უმკლავდებიან მათ. მაგრამ ხშირად კონფლიქტს მეტად უარყოფითი, ზოგჯერ კატასტროფული შედეგებიც მოაქვს.

კონფლიქტებში იგულისხმება ცალკეული ადამიანის ფსიქიკაში, ადამიანებსა და მათი ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებების ურთიერთდამოკიდებულებებში, ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების ტენდენციების შეჯახება. ორგანიზაციებში კონფლიქტები გამოვლინდება ადამიანთა განსაზღვრული ქცევითა და მოქმედებით, რომლებიც ხშირად გადაიზრდებიან ხევის საქმეებში ჩარევით.

ადამიანი კონფლიქტში შედის, როცა ვერ ხედავს მისოვების მიუდებელი სიტუაციის შეცვლის ხევა საშუალებას. ამ დროს მისი მოქმედება იდებს შეტევის ან თავდაცვის ფორმას. მოცემულ შემთხვევაში სასურველია, კონფლიქტში შემავალი ადამიანი ცდილობდეს შეინარჩუნოს „მოწინააღმდეგებოთან“ ნორმალური ურთიერთობა და გამოიჩინოს თავშეკავება.

კონფლიქტებშე თანამედროვე შეხედულებით, ბევრი მათგანი არამარტო დასაშვებია, არამედ სასურველიცაა. საქმე ისაა, რომ ისინი იძლევიან ინფორმაციას ორგანიზაციის პრობლემების შესახებ. გარდა ამისა, მათი დახმარებით შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზაციაში მიმდინარე ფარული პროცესები, თანამშრომელთა ხევადასხვა სასარგებლო თვალსაზრისი და ა.შ.

კონფლიქტების პოზიტიურ შედეგებად ითვლება ყველა მხარისათვის მისადები საშუალებებით პრობლემების ისეთგვარი გადაწყვეტა, რომელიც ამტკიცებს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, ხელს უწყობს კოლექტივის დარაზმულობას და მათ წევროა ნორმალურ ურთიერთობაამშრომლობას, ამცირებს ანტაგონიზმს და ა.შ.

კონფლიქტები იწვევს ძველი სოციალური ინსტიტუტების გარდაქმნას და ახლის ფორმირებას, ხელს უწყობს ადამიანთა პროგრესული ჯგუფების წარმოშობასა და კონსოლიდაციას, მათ შორის ინტერესების დაბალანსებას და ამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტაბილურობას.

კონფლიქტი იწვევს აგრეთვე აქტიურობისა და მუშაობისადმი მოტივაციის ამაღლებას, კვალიფიკაციის ზრდას, მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლებას. ყოველგვარი კონფლიქტების, განცდისა და დაძაბულობის უქონლობისას ადამიანმა შეიძლება შეწყვიტოს, ან შეანელოს თავისი განვითარება. ზომიერი კონფლიქტები აიოდებს მართვის პროცესს და ამაღლებს მის ეფექტიანობას. ამიტომ, სიტუაციიდან გამომდინარე უმჯობესია, კონფლიქტები

კი არ ჩავასშოთ, არამედ ვმართოთ ისინი.

ცალკეული სუბიექტის მიმართ კონფლიქტები შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანი. პირველს მიეკუთვნება შიგაპიროვნეული, ხოლო მეორეს – პიროვნებათშორისი, ანუ პიროვნებასა და ჯგუფს შორის და ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტები.

შიგაპიროვნეული კონფლიქტები განპირობებულია ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობებით. პიროვნებათშორისი კონფლიქტების ძირითადი მიზეზი კი ცალკეულ სუბიექტთა ინტერესების შეჯახებაა.

კონფლიქტების მართვის მეთოდებია: კონფლიქტებისაგან თავის არიდება, კონფლიქტების ჩახშობა და საკუთრივ კონფლიქტის მართვა.

კონფლიქტისაგან თავის არიდების მეთოდის უპირატესობა ის არის, რომ გადაწყვეტილება როგორც წესი ოპერატიულად მიიღება. ეს მეთოდი გამოიყენება მოცემული კონფლიქტის არასასურველობის შემთხვევაში, როცა იგი არ შეესაბამება ორგანიზაციაში შექმნილ სიტუაციას ან დიდია მასთან დაკავშირებული დანახარჯები.

კონფლიქტისაგან თავის არიდების მეთოდის სახესხვაობაა უმოქმედობა. ამ მეთოდისას ყველაფერი ხდება სტიქიურად. უმოქმედობა გამართლებულია სრული განუსაზღვრელობის პირობებში, როცა შეუძლებელია მოვლენათა განვითარების პროგნოზის გაკეთება.

კონფლიქტებისაგან თავის არიდების მეთოდი სახესხვაობაა დათმობა და შეგუება. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაცია მიდის დათმობებზე საკუთარ მოთხოვნილებათა შემცირების ხარჯზე.

კონფლიქტისაგან თავის არიდების ერთ-ერთი სახესხვაობაა მორიგების მეთოდი. მორიგება, როგორც კონფლიქტების გადაწყვეტის მეთოდი, მოწინააღმდეგე მხარეებისათვის მისაღები გადაწყვეტილებების ძიებისადმი მიმართულ ილეთთა ერთობლიობა. იგი გამოიყენება ისეთ თრგანიზაციაში, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შრომითი პროცესის კოლექტიურ მეთოდებზე. ეს მეთოდი ემყარება რწმენას, რომ განსხვავება მოპირისპირ მხარეებს შორის უმნიშვნელოა. წინა პლანზე წამოწეული საერთო ინტერესები.

კონფლიქტების მართვის ერთ-ერთი მეთოდია კონფლიქტების ჩახშობა. იგი, თავის მხრივ გულისხმობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. მათგან ერთ-ერთია: ფარულ მოქმედებათა მეთოდი. იგი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობანი შეუძლებელს ხდის მშვიდობიანად გადაიჭრას კონფლიქტი; ბ) არ არსებობს დაი კონფლიქტზე გადასვლის სურვილი თრგანიზაციის იმიჯის დაკარგვის შიშის გამო; გ) ამა თუ იმ მიზეზის გამო შეუძლებელია მოწინააღმდეგე მხარის ჩართვა აქტიურ თანამშრომლობაში და ა.შ.

კონფლიქტების ჩახშობის ერთ-ერთი სახესხვაობაა სწრაფი გადაწყვეტილების მიღების მეთოდი. იგი გულსხმობს, რომ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზზე (მიზეზებზე) გადაწყვეტილება მიიღება სასწრაფოდ. ამ მეთოდს მიმართავენ, როცა შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია საკითხის უსწრაფესად გადაწყვეტა.

საკუთრივ კონფლიქტის მართვა მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მოცემულ პროცესში აუცილებელია, გამოყენებულ იქნეს კონფლიქტურ სიტუაციასა და კონფლიქტში მონაწილეობა ქცევაზე ზემოქმედების მეთოდთა მოედნი კომპლექსი.

კონფლიქტური სიტუაციების მართვის მეთოდებს მიეკუთვნება: სამუშაოსადმი წაყენებული მოთხოვნების ახსნა-განმარტება, საკოორდინაციო და ინტეგრაციული მექანიზმების გამოყენება, საერთო თრგანიზაციული ხასიათის კომპლექსური მიზნების დადგენა და დაჯილდოების

სისტემის გამოყენება.

სამუშაოსადმი წაყენებული მოთხოვნების ახსნა-განმარტება ხელქვეითებისათვის კონფლიქტის დისფუნქციური შედეგების თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი განუმარტავს მუშაკებს, თუ როგორი უნდა იყოს მათი მუშაობის შედეგები, ვინ უნდა წარმოადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, როგორია უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობათა სისტემა, პროცედურა და წესები.

საკოორდინაციო და ინტეგრაციული მექანიზმების გამოყენებაში იგულისხმება, მმართველობითი იერარქიის მიზნობრივი ჯგუფების და განყოფილებათაშორისი თაობირების გამოყენება კონფლიქტების მართვის პროცესში. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციებმა რომელთაც შეინარჩუნეს ინგეგრაციის საჭირო დონე მიაღწიეს მეტ ეფექტიანობას, ვიდრე მათ ვინც ნაკლებად მიაქცია ამ საკითხს ყურადღება.

კონფლიქტური სიტუაციის მართვაში გარკვეულ როლს ასრულებს საერთო-ორგანიზაციული კომპლექსური მიზნები, რომელთა განხორციელება მოითხოვს ორი ან მეტი თანამშრომლის, ჯგუფის ან განყოფილების ერთობლივ ძალისხმევას. თუ ორგანიზაციის ყველა ქვედანაყოფისათვის დადგინდა მკაფიოდ განსაზღვრული საერთო მიზნები, ქვედანაყოფის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მათი ქვედანაყოფებისათვის, არამედ მთელი ორგანიზაციისათვის.

დაჯილდოების სისტემა კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მუშაკები, რომლებიც მონაწილეობენ საერთო-ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში, უნდა დაჯილდოვნენ პრემიოთ, გამოეცხადოთ მადლობა, დაწინაურდნენ თანამდებობაზე-ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ დაჯილდოების სისტემა არ გამოიყენონ მათ მიმართ, ვინც იქცევა არაკონსტრუქტურულად და პრობლემას ცალმხრივად და არაკომპლექსურად უდგება.

კონფლიქტური სიტუაციების სრულფასოვნად მართვა წარმატებული მენეჯმენტის ერთ-ერთი მდგენელია. ზემოთ აღნიშნულის გარდა, კონფლიქტების მინიმალური დანახარჯებით თავიდან აცილებას ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, ორგანიზაციაში მომუშავე ყველა პერსონალის მიერ კონფლიქტოლოგების შემოთავაზებული შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- უნარი - განასხვავო მთავარი არამთავარისაგან - მეორესარისხოვნისაგან მთავარის გარნებისმიერ ადამიანს ეხმარება, გამოიქმნოს კონფლიქტებში ქცევის სწორი გზა;

- შინაგანი სიმშვიდე - ეს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ისეთი პრინციპია, რომელიც არ გამოხატავს ადამიანის ენერგიულობასა და აქტიურობას. შინაგანი სიმშვიდე ყველა არასასურველი ცხოვრებისეული სიტუაციებისგან დაცვის თავისებული საშუალებაა;

- ემოციური სიმწიფე და სიმტკიცე - მასში იგულისხმება ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში დირსეულად მოქმედების შესაძლებლობა და მზადებლობა;

- მოვლენებზე ზემოქმედებისას ზომიერების დაცვის ცოდნა - იგი გულისხმობს უნარს - შეაქერო საკუთარი თავი და არ გადახვიდე შეგევაზე ან პირიქით, დააჩქარო მოვლენები იმისათვის, რომ „ფლობდე სიტუაციას“ და შეგეძლოს ადექვატურად რეაგირებდე მასზე;

- პრობლემისადმი სხვადასხვა თვალსაზრისით მიღობმის უნარი - იგი განპირობებულია იმით, რომ ერთი და იგივე მოვლენა, დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე შეიძლება შეფასდეს სხვადასხვაგვარად. თუ კონფლიქტს განიხილავ საკუთარი „მე“-ს პოზიციიდან, ყოველთვის

მივიღებთ ერთ შეფასებას, ხოლო თუ იგი (კონფლიქტი) განხილული იქნება საკუთარი ოპონენტის პოზიციიდან, შეიძლება მივიღოთ სრულიად საწინააღმდეგო შეფასება;

- მზადყოფნა ნებისმიერი მოულოდნებლობისათვის – მასში იგულისხმება სწრაფი გარდაქმნისა და სიტუაციის ცვლილებაზე დროული და ადექვატური რეაგირების საშუალების არსებობა;

-სინამდვილის ისეთი აღქმა, როგორიცაა იგი და არა ისეთის, როგორიც სურს დაინახოს მოცემულმა კონკრეტულმა ადამიანმა – ეს პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული წინა პრინციპთან. იგი ხელს უწყობს ფსიქიდური სიმტკიცის დაცვას;

- პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლისადმი მისწრაფება – პრაქტიკა ადასტურებს, რომ როგორც წესი, ყველა „გადაუჭრელი“ სიტუაცია საბოლოო ანგარიშით გადაწყვეტადია და გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს;

- შორსმჭვრეტელობა – მასში იგულისხმება უნარი - არამარტო შეიცნო მოვლენათა შინაგანი ლოგიკა, არამედ დაინახო მისი განვითარების პერსპექტივა.

ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე ი., კონფლიქტების მართვის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე “სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ინფორმატიზაციის თანამედროვე პრობლემები: ახალი გამოწვევები და პერსპექტივები”, 26-27 ოქტომბერი, ქუთაისი 2013წ., გვ: 28-30.

2. ბაბუნაშვილი გ., მდებრიშვილი ბ., შუბლაძე გ., მენეჯმენტი, თბილისი 1998წ.
3. ძერიძე რ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი 2009წ.
4. გურაბანიძე ვ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბილისი 2009წ.
5. პაიჭაძე ნ., პერსონალის მართვა, თბილისი 2003წ.
6. შუბლაძე გ., მდებრიშვილი ბ., წოწოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი 2008წ.
7. ჯულაყიძე გ., მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი 2013წ.

ტვირთვა დ.ლ.

დონეცკის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი

საინფორმაციო—საპომუნიკაციო რესურსების უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს ანტიპრიზისული კოლექტივის წარმატებული რჩალიზაციის ძირითადი ფაქტორი

ნაშრომში განხილულია ის სირთულეები, რაც გლობალიზაციისა და ცივილიზაციის გენეზის პირობებში შეიძლება მოჰყვეს საინფორმაციო—საკომუნიკაციო სისტემების გაუმართავ ფუნქციონირებას. სტატიის მიზანია, წარმოადგინოს თეორიული და პრაქტიკული მიღებობის ინფორმაციისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების ორგანიზაციულ—ეკონომიკური მდგენელების საიმედობისა და გამოყენების მიმართულებით.

ნაშრომის სრული გერსია იხილეთ შურნალის რესულენტის ნაწილში.

ზათუნა თომაზა

ეკონომიკის დოქტორი,

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

უმუშევრობის პროცესის საქართველოში და მისი დაძლევის გზები

უმუშევრობა თანამედროვე პირობებში ერთ-ერთი ყველაზე რთულად გადასაჭრებული მაკროეკონომიკური პრობლემაა.

საქართველოში არსებულ პრობლემებს შორისაც 75,3%-ით სწორედ უმუშევრობა „დიდერობს“ - სტატისტიკური და სოციოლოგიური გამოკითხებით, უმუშევრობა საქართველოში, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ოუკონიტიკური საკითხების ნუსხაში პირველ ადგილს იკავებს.

უმუშევრობის გამო ხდება საწარმოო პოტენციალის არასრული გამოყენება, ანუ იკარგება პროდუქცია, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრობა დასაქმების შემთხვევაში.

თუკენის კანონის მიხედვით, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-ით ზრდა მშპ-ს დაახლოებით 2-3%-იან ზრდას განაპირობებს. ადსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხელისუფლება შემოსავალს კარგის გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების გამოც. განვითარებულ ქვეყნებში ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, რადგან ხელისუფლებას უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ აქ საქმე სხვაგვარადა, რადგან ხელისუფლება უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთო მხოლოდ უმუშევრებს აწვება, მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, დროთა ვითარებაში, რეგრესს განიცდის.

უმუშევრობის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც ყურადღებამისაქცევია საქართველოს რეალობაში, ციკლური უმუშევრობაა. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და ეკონომიკური რეცესიის დროს იჩენს თავს, როცა ეკონომიკური აქტივობა იკლებს და წარმოების ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის კლება აისახება.

საყურადღებო სტრუქტურული უმუშევრობა; ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანია, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. მისი მიზეზითაა, რომ სტატისტიკური ანალიზის შედეგების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (რაც საქართველოს მთლიანი ინვესტიციების უდიდესი ნაწილია, ვინაიდან ადგილობრივი დანაზოგები არასაკმარისია ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად), საქართველოში ვერ ახდენს გავლენას დასაქმებაზე ჩვენთვის სასურველი მასშტაბით. მაგალითად, 2007 წელს, როცა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ყველაზე მაღალი - 12%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, უმუშევრობის დონე მაინც საკმარის მაღალი იყო და 13,3 %-ს შეადგენდა, 2011 წელს კი, როცა საქართველოს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 6,5 %-ს აჭარბებდა, უმუშევრობა მხოლოდ 0,8 %-ით შემცირდა. ანუ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში დასაქმებაზე ვერ მოქმედებს იმ მაქსიმალური მასშტაბით, რა მასშტაბითაც შეუძლია, რომ იმოქმედოს. ამის მიზეზი კი, ისევ და ისევ, სტრუქტურული უმუშევრობაა.


უმუშევრობის დონე საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებისას 1,6-ჯერ აღემატება, თუმცა, იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში დაქირავებით დასაქმების დონე საქართველოსთან შედარებით მაღალია (თანაფარდობა გამოიხატება პროპორციით - 4/1 - თან) დასაქმების პრობლემა ჩვენთან გაცილებით მწვავედ დგას. 25 ქვეყანას შორის საქართველო უმუშევრობის დონით მე-19 ადგილს იკავებს, ბოლო ადგილზე უმუშევრობა დაახლოებით 33%-ით ბოსნია-ჰერცოგოვინაა, ხოლო პირველ ადგელზე - ბელორუსი. საქართველოს გვერდით რეიტინგებშია ლიტვა, ლატვია, ხორვატია და ესტონეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უმუშევრობის დონის გამოთვლას იმავე მეოთხოდოვით აწარმოებს, როგორითაც სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და რუსეთი. ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კანონმდებლობა ითვლის დასაქმებულ და თვითდასაქმებულ ადამიანებს. ამავე კანონმდებლობით, უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი, რომელსაც კვლევამდე 7 დღე არ უმუშავია არც ერთი საათი, ხოლო სამსახურს 4 კვირის გამნავლობაში ემებდა. დასაქმებულად ითვლება ის ადამიანიც, რომელიც პირუტყვს უვლის ან საკუთარ ბადში შრომობს. აქედან გამომდინარე, უმუშევრობის რეალური დონე სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქები. საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50% სოფლის მეურნეობაშია, ამ დროს კი სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს შეადგენს. სოფლად უმუშევრობის დონე 7,9%-ია, ქალაქებ კი - 27,2 %-ს აღწევს, გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მოსახლეობის 1/5-ით შემცირების პირობებში, დასაქმება 2/5-ით შემცირდა. 2011 წლისათვის უმუშევრობა საერთო რაოდენობამ ქვეყანაში 295 ათას კაცს გადააჭარბა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 15,1% შეადგინა. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ამჟამად საქართველოდან ეკონომიკური მიზეზით გასული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 1-1,5 მლნ. კაცია.

ნახ. 1.

უმუშევრობის დონის ცვლილება

წყარო: www.tradingeconomics.ge

რომ არა ქვეყნის მოსახლეობის ამგვარი გადინება, დღეისათვის უმუშევრობის დონე საქართველოში ოფიციალურად არსებულზე 4-ჯერ მაღალი იქნებოდა! საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით, 2011 წელს 2010 წელთან შედარებით აღინიშნა მოსახლეობის აქტივობისა და დასაქმების დონეების 1,0 და 1,6%-ით ზრდა; თანაბრად გაიზარდა დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობა. როგორც წესი, დასაქმებულებში სჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი, მაშინ, როდესაც, დასაქმების თვალსაზრისით ჯანსაღი მდგომარეობის შემთხვევაში, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა უნდა აჭარბებდეს თვითდასაქმებულთა რაოდენობას. ესტონეთში, მაგალითად, 10 დაქირავებით მომუშავეზე მოდის 1 თვითდასაქმებული, საქართველოში კი დაქირავებული 600 ათასი ადამიანია, თვითდასაქმებული კი - მილიონზე მეტი!

2012 წელს 2011 წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4,8 %-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა - 2,8 %-ით, მაგრამ ამის შედეგად აღნიშნული თანაფარდობა მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას ადსანიშნავია, რომ 2012 წელს 2011 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე მამაკაცებში 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ქალებში - 0,7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. მამაკაცებში აქტიურობის დონემ 2012 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს - 78,2 %-ს მიაღწია ბოლო 15 წლის მანძილზე.

უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ მან ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (36,9%); უმუშევრობის დონე გაზრდილია ასევე 40-44 და 55-59 წლების ასაკობრივ ჯგუფებში, შესაბამისად 3,7 და 1,4 პროცენტული პუნქტებით. ამასთან, უმუშევრობის დონის ყველაზე დიდი შემცირება (4,1 %-ით) დაფიქსირდა 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

უმუშევრობის პრობლემა მხოლოდ საქართველოს წინაშე არ დგას. ჩვენი ქვეყნის პრობლემა ის არის, რომ აქ უმუშევრობის მასშტაბებია საგანგაში.

უმუშევრობის ერთ-ერთი მიზეზი უმაღლესი და სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების დაგეგმვის ტექნიკურობით. დღეისათვის ეწ. „პოპულარული“ სპეციალობების გამო, მოსახლეობის განათლების პროფილი არ ემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მაგალითად, სამედიცინო განათლების მქონეთა რაოდენობა ბევრად აღემატება მასზე მოთხოვნას და ადამიანთა დიდი ნაწილი, ხანგრძლივი აკადემიური სწავლის მიუხედავად, სამუშაო ადგილის გარეშე რჩება, ანუ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია. სხვათა შორის, საქართველო ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა სამუშაო ძალის განათლების დონის მიხედვით, ჩვენთან უმუშევართა 81 %-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. აშკარაა, რომ არსებობს დიდი შეუსაბამობა დამსაქმებლების საჭიროებებსა და იმ უნარ-ჩვევებს შორის, რასაც მას პოტენციური მუშახელი სოვაზობს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების ოფირმა ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტურიანია ისეთი მომავალი კადრების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ.

უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად შრომის ბაზარზე შეიმჩნევა კვალიფიციური მუშა ხელის დეფიციტი. კადრების დეფიციტი იმ დარგებშიცაა, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია. ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა როგორც საშუალო და მაღალი დონის პროფესიონალ მენეჯერებზე, ისე ტექნიკურ კადრებსა და კვალიფიციურ პერსონალზე (ელექტრიკოსი, მლესავი, შემდუღებელი და სხვ.).

ქვეყანაში ბიზნესის კეთების მოავარი ხელისშემშლელი ფაქტორიც ეს არის - არადექვატური განათლების მქონე სამუშაო ძალა. გარდა ამისა, მსოფლიო კონკურენტულობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორებია: ფინანსების არახელმისაწვდომობა და ინფლაცია.

უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ისიც, რომ ინვესტიციების არსებული მოცულობა არ არის საკმარისი უმუშევრობის დასამარცხებლად. ყველაფერი ზემოადნიშნული მოწმობს, რომ პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა და სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. პირველ რიგში, აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც უმუშევართა რეგისტრაციას განახორციელებს.

საქართველოში შრომის ბაზის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დღეს დასაქმების სახელმწიფო ცენტრები ფუნქციონირებს მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

კერძოდ, 2011 წლის ოქტომბერში შეიქმნა სსიპ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო”, რომელსაც აქვს 6 მუნიციპალური (ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხელოს) განყოფილება. განსაკუთრებული კურადღება უნდა გამახვილდეს განათლების სფეროზე; საჭიროა ისეთი შემდგომი რეფორმების გატარება განათლების სექტორში, როგორიცაა განათლების სტანდარტების მოდერნიზაცია, განათლების ხარისხის ამაღლება და სხვ.

დასაქმების დონის ასამაღლებლად ეფექტური გზა არის ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ვინაიდან ბიზნესი ეკონომიკის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძალა და დასაქმების უმნიშვნელოვანების წყაროა. იგი შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

საქართველოს მთავრობამ და სხვა შესაბამისმა ორგანოებმა უნდა სცადონ იმ შეფერხებების აღმოფხვრა, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „საქართველოში შრომის ბაზის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის” შესახებ.

01 თეთრშაშვილი

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოში პიზნების განვითარების ტენდენციების შეფასების საპითხისათვის

ბოლო წლებში საქართველოში ბიზნეს გარემოს გაჯანსაღების კუთხით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა უახლესი ისტირიის განმავლობაში განვითარებული მოვლენები და პროცესები გვარწმუნებენ, რომ ბიზნეს სექტორში კვლავ როგორი მდგომარეობაა შექმნილი.

ბიზნეს გარემოსთან მიმართებაში უთურდ განსახილველია განვითარების მოდელის ძიება წარსულსა და აწყობს გაოვალისწინებით. უახლესი ისტორიას გამოცდილებამ დაგვანახა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხითაც, რომ ფაქტობრივად უნდა გადაწყვეტილიყო განვითარების მოდელის არჩევის საკითხი წინა ხელისუფლების ცხრაწლიანი პერიოდის შემდეგ, ანუ, არჩევანი ავტორითარებულ რეჟიმს, ადამიანის უფლებათა სისტემურ რდგევას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასა და ცივილიზებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებას შორის.

ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკის რდგევის შემდეგ, ბოლო თრი ათწლეულის განაფლობაში ყველთვის იყო აქტუალური საკითხი განვითარების მოდელის შერჩევისა. თანამედროვე ეკონომიკური მოდელი ემყარება არა იმდენად წარმოების ზრდას, არამედ მოხმარების სტიმულირებას, რამაც ბევრი უარყოფითი შედეგი მოგვცა.¹

მართლაც, მოხმარების სტიმულირება რექტორის უკეთესობის გარეშე რიგ დუფლრმაციებს იძლევა. საწყის ეტაპზე მართალია იზრდება მშპ, მაგრამ გრძლევადიან პერიოდში, რეალური რექტორის უმოქმედობა მაინც გამოიწვევს ინფლაციური პროცესებს, საგადამხდელო ბალანსის გაუარესებას და სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუარესებას.

ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემოს მართებული შეფასება შეუძლებელია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის გარეშე. ამისათვის მიზანშეწონილ მიგვაჩნია ბიზნესის ფუნქციონირების კომპლექსური შეფასება.

შეფასების სიზუსტის მიზნით გამოვიყენეთ ინდექსის შერჩევის მეთოდი. იგი საშუალებას გვაძლევს ოპერატიულად და ეფექტურად შევაფასოთ ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. კვლევის შედეგები გარკვეული ორიენტირების მიმცემი იქნება როგორც ბიზნეს სექტორისათვის, ისე ამ სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისთვისაც.

დასახელებული კვლევის ფარგლებში გამოვთვალეთ ბიზნესის განვითარების ინდექსები

¹ Папава В., Экономика грузии: в поиске модели развития. Ж. «Мир перемен», №3, 2013. გვ. 51.

(I_b). მის გამოსათვლელად გამოვიყენეთ ბიზნესის განვითარების მაჩვენებლები $X_1(t)$, როგორც დროის ფუნქცია t $Z, Z - \text{შესაბამისი } \vec{v}$ ელია, $i - \text{მაჩვენებლის } n$ მერია \vec{z} უფში (იხ. ცხრ. 1).

ბიზნესის განვითარების ინდექსი (I_b) განისაზღვრება, როგორც დასაქმებულთა რაოდენობის, შრომითი დანახარჯების, ბრუნვის და ფიქსირებული აქტივების ინვესტიციების ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

ბიზნესის განვითარების ინდექსი გამოითვლება ფორმულით:

$$I_b(t) = \frac{1}{N} \sum_{i=1}^N \left(\frac{X_i(t)}{X_i(t-1)} - 1 \right) \times 100\% \quad (1)$$

სადაც, $X_i(t)$ – დროის t მომენტში მაჩვენებლის მნიშვნელობაა, NN – ჯგუფში მაჩვენებელთა რაოდენობაა, i – ჯგუფში მაჩვენებლის ნომერია (იხ. ცხრ. 1 და 2) t $Z, Z - \vec{v}$ ელია. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2004 წლიდან, რამაც ცხრაწლიანი პერიოდისათვის (2004–2012 წლები) მოგვცა ინდექსების განსაზღვრის საშუალება.


ინდექსის გამოთვლის შედეგები ქვემოთ გვაქვს გამოტანილი (იხ. ნახ. 1).

ცხრილი 1.

მაჩვენებლები ბიზნესის განვითარების ინდექსის გამოსათვლელად

i- ნომ- ერი	მნიშვნე ლობა	მაჩვენებელი/ წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
1	$X_1(t)$	ბრუნვა (მლნ. ლარი)	7248,4	10076,3	13090,3	17544,4	19650,7	20302,2	24400,7	36726,2	42048,0
2	$X_2(t)$	ფიქსირებული აქტივები (მლნ. ლარი)	4942,8	5415,1	6040,5	7935,9	9257,1	12025,8	13386,1	15538,7	18625,8
3	$X_3(t)$	დასაქმებულთა რაოდენობა (ვაცი)	322779	388946	360987	361209	349250	387463	397806	503236	534397
4	$X_4(t)$	რეგისტრირებუ- ლი სუბიექტები (ერთეული)	126071	150151	177004	226298	260840	295121	342222	395144	428847

ნახაზი 1



ინდექსების მაჩვენებლებმა 2004-2012 წლებში ბიზნეს სექტორში ტენდენციების გამოვლენის საშუალება მოგვცა:

1. პიკური იყო 2011 წელი, რაც გამოიწვია წინა წელთან შედარებით დასაქმებულთა რიცხოვნობის მკვეთრმა ზრდამ (397806-დან 503236-მდე), ხოლო ეს უკანასკნელი მეთოდოლოგიური ცვლილებით იყო გამოიწვეული. ამ პერიოდში წინა წელთან შედარებით ასევე მკვეთრად გაიზარდა ბრუნვის მოცულობაც (24400,7 მლნ. ლარიდან 36726,2-მლნ. ლარამდე). ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ეს მაჩვენებელი იღუზორულია.

2. მაღალი შედეგები დაფიქსირდა 2005 და 2007 წლებში. 2005 წელს ეს გამოიწვია წინა წელთან შედარებით ბრუნვის მოცულობის მკვეთრმა ზრდამ, ხოლო 2007-ში ამის მიზეზი იყო ფიქსირებული აქტივების, ბრუნვისა და რეგისტრირებული სუბიექტების მკვეთრი გადიდება.

3. ამ წლებში ყველაზე დაბალი იყო ეს მაჩვენებელი 2008 წელს (10,25%), რაც ერთი მხრივ რუსეთთან ომა და მეორე მხრივ მსოფლიო კრიზისმა გამოიწვიეს, როცა მაგალითად, დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით არათუ გაიზარდა, შემცირდა კიდეც (349250-დან 361209 კაცამდე).

მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოხმარების სტიმულირებას ემსახურებოდა, არათანმიმდევრულად ხორციელდებოდა. ამას ერთვოდა ინფლაციური პროცესები, ომი რუსეთთან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და სხვა ფაქტორები, რამაც ბიზნესის განვითარების ინდექსის დინამიკას „სინუსოდური ფორმა“ მისცა.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძნელია რაიმე ეტაპების გამოყოფაშ თუმცა საანაზღიურ პერიოდის განმავლობაში ყველაზე სტაბილურად მაინც 2007 წელი იქვეთება, როცა 2004 წლის შემდეგ ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სათანადო შედეგები მოგვცა. თუმცა, შემდგომ წლებში არათანმიმდევრულობა კვლავ იჩენს თავს, რაც აისახება კიდეც გრაფიკზე.

ბაზარი გაბეჭდის დასაგლური ვეზტორი:

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საბარეო გაპროგის დასაგლური ვეზტორი: ანალიზი და პროგნოზები

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ინდიკატორებს წარმოადგენენ საგარეო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები. სწორედ მათი საშუალებით მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების გადაადგილება განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, რაც უზრუნველყოფა ამ უკანასკნელთა ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ გლობალიზაცია განსაკუთრების დადებით შედეგებს იძლევა იმ ქვეყნებში, რომლებმაც დროულად აღიარეს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა და, შესაბამისად, გაამარტივეს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმები. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა, ერთი მხრივ, ქვეყნებს აძლევს გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, იწვევს მათ ჩართვას მწვავე საერთაშორისო კონკურენციაში. ეროვნული ბიზნესი ერთვება რა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, იგი იძულებული ხდება სიდრმისეულად დასპეციალდეს იმ დარგების განვითარებაზე, რომლისთვისაც მოცემულ ქვეყანაში არსებობს წარმოების შეფარდებითი უპირატესი პირობები. ამავე დროს, საერთაშორისო კონკურენცია აიძულებს მათ გააუმჯობესონ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხი და შეამცირონ წარმოების ხარჯები. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში იწვევს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, ადგილობრივი და იმპორტირებული ფართო ასორტიმენტის საქონლითა და მომსახურებით წარმოებისა და მოსახლეობისმოთხოვნილების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ჩართული ქვეყნები მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ პარტნირი ქვეყნებიდან ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების იმპორტირების შედეგად. უპირველეს ყოვლისა ეს არის ახალი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც თან ახლავს იმპორტირებულ ტექნოლოგიებს და ინვესტიციებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაცია პოზიტიურ მხარეებთან ერთად შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს. უპირველეს ყოვლისა ეს გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე მწვავე კონკურენციის შედეგად განვითარებული და ნაკლებად კონკურენტული ეროვნული დარგების გაკოტრების საფრთხეს. ასეთი მუქარების წინაშე ძირითადად დგებიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და მათ შორის საქართველოც. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურიდან უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, დაბალი კონკურენტუნარიანობისა და არასწორი ეროვნული ეკონომიკური პოლი-

ტიკის გატარების გამო, თითქმის მთლიანად გაქრა მთელი რიგი ტრადიციული დარგები (მეზაიერბა, მეთამბაქოება და სხვა) და საწარმოები (ჩარჩოშენებელი, ელექტრონული დასხვა), რომლებსაც უახლოეს წარსულში წამყვანი პოზიციები ეკავათ ქვეყნის ეკონომიკასა და საექსპორტო საქონლის სტრუქტურაში.

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვის სხვადასახვა მოდელები არსებობს. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაცვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვის ან იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესების რეჟიმი, რომლის შემთხვევაში მათი ფასი ადგილობრივ ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით გაძვირდება და ნაკლებად კონკურენტული აღმოჩნდება. მაგრამ ეს გზა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის არაეფექტურია, რადგან ცნობილი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოთხოვნილებას მაღალხარიასხიანი საქონლით და მომსახურებით, რაც თავის მხრივ, ანელებს ეკონომიკურ განვითარებას. მეორე მხრივ, იმპორტიორმა ქვეყანამ ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის კუთხით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად უველა სახეობის საქონლისა და მომასახურების ადგილზე წარმოების შესახებ. ოუმცა ასეთი მიღგომა მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები, რადგან არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებლად შეეძლოს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმპორტის გარეშე მხოლოდ ადგილობრივი წარმოებით.

საქართველომ ადიდგინა რა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, კურსი აიდო ლიბერალურისავაჭრო პოლიტიკისაკენ და მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ჩართვისაკენ. გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული სატარიფო პოლიტიკის შედეგად საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი უველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც წარმატებით გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რითაც მან დაადასტურა მზადყოფნა ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ.

საქართველოს სავაჭრო მექანიზმების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად მათთან სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებს “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN-Most-Favored-Nation) საფუძველზე. გარდა ამისა საქართველოზე ვრცელდება პრეფერენციათა განხოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP), რომლის ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნები და ნიმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაპირების დაწესება, რაც აიოლებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. ასეთი რეჟიმის ბენეფიციარ ქვეყანათა გაერთიანებებს და ქვეყნებს წარმოადგენენ ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. გარდა ამისა, საქართველომ უზრუნველყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება დსთ-ს უველა ქვეყანასთან და თურქეთთან. ასეთი რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის უმეტესი სახეობის საგაჭრო საქონლის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქეთთან და თურქეთთან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული საგაჭრო რეჟიმი აქვს. 2006 წლიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის თითქმის 85%-ზე. მთლიანად გაუქმდა სეზონური ტარიფები.

ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაზო გადასახადისაგან. გამომდინარეიქიდან, რომ საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი ამ გადასახადით არ იძეგრება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

საგარეო გაჭრობა თავისუფალია არასატარიფო შეზღუდვებისაგან (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა). გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს საგაჭრო პოლიტიკის მთავარი ვექტორი მიმართულია ევროპაგმირისაკენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც რუსეთმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქციაზე ამჟამად ევროპაგმირი, როგორც 27 ქვეყნის გაერთიანება საქართველოს რიგით პირველი საგაჭრო პარტნიორია. ევროპაგმირის ბაზარზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნით სარგებლობს თხილი და კაკალი, დვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, უალკოჰოლო სასმელები, ცხოველური ტყავები და ა.შ. ასევე სამრეწველო პროდუქცია: მინერალური სასუქები, სპილენძის მაღნები და კონცენტრატები; შავი ლითონის და სპილენძის ჯარითი და ნარჩენები, მანგანუმი სოქსიდები და სხვა.

ევროპაგმირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ეგიდის დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. ევროპაგმირმა გარდამავალ ეტაპზე საქართველოს დიდი ფინანსური და ტექნიკური დახმარება აღმოჟენია. ევროპაგმირთან ურთიერთობები განსაკუთრებით განმტკიცად უანასკნელი ათი წლის განმავლობაში. 1999 წელს შევიდა ძალაში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), რომელიც ითვალისწინებს ფართო მასშტაბიან თანამშრომლობას პოლიტიკურთან ერთად ვაჭრობისა და ეკონომიკის სხვა საკითხებზე. ამ შეთანხმების საშუალებით გაუქმდა კვოტები ვაჭრობის სფეროში დამხარეებმა ერთმანეთს მიანიჭეს უპერატესი ხელშეწყობის რეჟიმი. 2005 წლის დეკემბერში ევროპაგმირმა საქართველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP) სარგებლობის უფლება, რომელიც 2008 წელიდან გაგრძელდა GSP+ რეჟიმით. ეს უკანასლნელი ითვალისწინებს საქართველოდან ევროპაგმირში ექსპორტირებული საქონლის საბაზო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

გარდა ამისა, ევროპომისიამ 2003-2004 წლებში შეიმუშავა საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომლის მიზანია გაფართოებულ ევროპაგმირსა და მის შეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროგრამაში საქართველო ჩაერთო 2004 წელს, ხოლო 2006 წელს მიღებულ იქნა სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს და ევროპაგმირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ ამოცანები.

ევროკავშირმა 2009 წელს წამოაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომლის მიზანი იყო საქართველოში, და პოსტსაბჭოურ ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს უფრო დრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან ახალი ასოცირების შეთანხმებების დადებას. ამ უკანასკნელის ამოცანაა ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირება დრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის საშუალებით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირმა საქართველოსთან „დრმა და ყოფლისმომცველი“ ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესაქმნელად წამოაყენა შემდეგი აუცილებელი პირობები: ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების ლიბერალიზაცია, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა და კონკურენციის უზრუნველყოფა. საქართველომამ მიმართულებებით ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად განახორციელა რიგი დონისძიებები: ევროკავშირის მხრიდან ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების კუთხით ძირითადი რეკომენდაციები იყოს ტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სფეროში სამთავრობო პროგრამის მომზადება. ეს სამუშაოები საქართველოს მთავრობამ წარმატებით შეასრულა. სურსათი სუვნებლობის კუთხით ევროკავშირის მოთხოვნა იყო ამ სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შეჩერებული მუხლების ამოქმედება (ძირითადად შეეხებოდა საექსპორტო-პროდუქციის კონტროლს), რაც მთავრობამ შეასრულა კიდევაც. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის კუთხით ევროკომისიის რეკომენდაცია იყო საქართველოს ბაზრის კალების დაწყება, რაც ასევე დროულად იქნა განხორციელებული. ევროკავშირის ბოლო მეოთხე მოთხოვნა გულისხმობდა კონკურენციის მარეგულირებელი კანონის შემოდებას, რაც მოიცავდა თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებელ ორგანოდ გარდაქმნას. ეს სამუშაო დაწყებულია, თუმცა ბოლომდე არ არის მიყვანილი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ევროკავშირმა და საქართველომ 2013 წელს დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების (AA), მათ შორის დრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე, ხოლო ამავე წლის ნოემბერში შედგა შეთანხმების პარაფირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე. ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოების ძირითად ინსტრუმენტს. ის შედგება 4 მთავარი თავისგან: საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მართლმსაჯულება და საშინაო პოლიტიკა; დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DDbFA); და მეოთხე თავი მოიცავს მთელ რიგ საკითხებს გარემოს დაცვის, მეცნიერების, ტრანსპორტისა და განათლების საკითხების ჩათვლით.

შეიძლება ითქვას, რომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან წვდომა ევროკავშირის, მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს და მდიდარ ბაზარზე არის მდლავრი იმპულსი ქართული ბიზნესისა და ექსპორტის განვითარებისათვის. ხელშეკრულება დრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოიცავს პროდუქტებით ვაჭრობას, საბაჟო გადასახადების გაუქმებისა თუ შემცირების ჩათვლით. გარდა ამისა, იგი იძლევა მომსახურების ბაზრის ხელმისაწვდომობის და საინვესტიციო გარემოს

გაუმჯობესების შესაძლებლობებს. ხელშეკრულების მიზანია ვაჭრობის მაქსიმალური დიბერალიზაცია, მარეგულირებელი პოლიტიკის რიგ სფეროებში კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან. არსებული საბაჟო გადასახადებისა და მარეგულირებელი ბარიერების ეტაპობრივი გაუქმება გაზრდის პროდუქტებისა და მომსახურების ასორტიმენტსა და ხარისხს, გამოაცოცხლებს კონკურენციას და ექსპორტს, გააუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, მოწიდავს ინვესტორებს და, ამავედროს, აამაღლებს სოციალური, გარემოსდაცვისა და მომხმარებლის დაცულობის დონეს.

ექსპერტული კვლევების თანახმად ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში. გრძელვადიან ჭრილში საქართველოს მთლიანი და პროდუქტი შეიძლება გაიზარდოს 4.2%-ით ანუ 292 მილიონი ევროს ოდენობით, თუკი ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ სრულფასოვნად გატარდება და შენარჩუნებული იქნება მისი შედეგები.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სიგრცის შესახებ ხელშეკრულების ნაწილის ხელმოწერის დაწარებას 2014 წლისათვის.

